645
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ჟურნალი
№ 3 1971 წ.



# გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!



სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები, არჩეულნი საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მიერ, ქვემოდან ზემოთ: ნ. ბაბადაძე — ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მუშა, ნ. სიხარულიძე — რუსთავის ქიმიური კომბინატის მეაპარატე, ვ. ქემაშვილი — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ბრიგადირი, ე. სოლომონია — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, თ. საური — გორის ბამბეულის კომბინატის მუშა.

ფოტო გ. ვახტანგაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

F.D.I.F.

# ბუდაპეშტის სესია და ქალთა ამოცანები

11602

გასული 1970 წელი შესანიშნავი თარიღებით დამკვიდრდა მსოფლიოს ქალთა მოძრაობის ისტორიაში:

ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის, ადამიანთა სოციალური თავისუფლებისათვის მებრძოლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და ამასთან დაკავშირებით ქ. მოსკოვში ჩატარებული სიმპოზიუმი თემაზე: „ვ. ი. ლენინი ქალის როლის შესახებ საზოგადოებაში და ქალთა საკითხის გადაწყვეტა“ (ანგარიში იხ. „საქართველოს ქალი“ № 4... 1970 წ.); ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტას 60 წლისთავი; ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის (ქსდფ) 25 წლისთავი და ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია ქ. ბუდაპეშტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 75 ქვეყნის წარმომადგენლებმა: ევროპის 25, აზიის 15, აფრიკის 19, ლათინური ამერიკის 18, ჩრდილო ამერიკის 2, კანადის, ავსტრალიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგატებმა. საბჭოთა კავშირიდან სესიას ესწრებოდა ქსდფ-ს საბჭოს 6 წევრი.

სესიაზე მოხსენებით, — „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის 25 წელი და მისი როლი დღეს“ — გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი ჰერტა კუუსინენი.

მომხსენებელმა მოუთხრო სესიას იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ეწეოდა ქსდფ 25 წლის მანძილზე: ბრძოლა მშვიდობისა, ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა, ქალთა თანასწორუფლებიანობისა და ბავშვთა დასაცავად.

მოხსენებაში ცენტრალური ადგილი დაეთმო თანამედროვეობის ძირითად პრობლემებს და ფედერაციის მონაწილეობას ხალხთა ბრძოლაში დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა, სოციალური პროგრესისა და მშვიდობისათვის. აღინიშნა, თუ რა მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევს ქსდფ ინდოჩინეთის, არაბეთისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებს, როგორ ზრუნავს მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის დამყარებისათვის ევროპაში და სხვ.

„ფედერაციის განსაკუთრებული საზრუნავი, — აღნიშნა მომხსენებელმა, — იყო ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, ამ მიზნით გავაძლიერეთ კონტაქტი პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაციასთან, ვცდილობდით დაგვეკავშირებინა ქალთა ეროვნული ორგანიზაციები თავთავიანთი ქვეყნების პროფკავშირთა ცენტრებთან“.

ფედერაციის გენერალური მდივნის სესილ იუჟელის მოხსენება მიეძღვნა ქსდფ-ს VI კონგრესის (ქ. ჰელსინკი, 1969 წ.) გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხს და ფედერაციის შემდგომი საქმიანობის გეგმებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 8 მარტის 60 წლისთავი ფედერაციის ეროვნულმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს ქალთა განათლების, შრომისა და ხელფასის თანაბარი ანაზღაურების უფლებათა დაცვის კამპანიების ჩასატარებლად. კერძოდ, გასული წლის თებერვალში ქ. ხართუმში მოეწყო სემინარი ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდირებისათვის კადრების მოსამზადებლად. სემინარში მონაწილეობდნენ არაბეთისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები.

ქსდფ მონაწილეობდა პროფკავშირების VII საერთაშორისო კონგრესში, მშრომელი ახალგაზრდობის პრობლემებისადმი მიძღვნილ პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენციაში; გამოდიოდა და იცავდა ქალთა უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებულ დაწესებულებებში და სხვა.

ბუდაპეშტის სესიის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 80 დელეგატმა. მათ მოიწონეს ქსდფ-ს და მისი ეროვნული ორგანიზაციების მუშაობა, ილაპარაკეს თავიანთი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს თუ რა დახმარებას უწევს მათ საბჭოთა ქალების კომიტეტი, მათს წინაშე წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტაში.



ბიბლიოთეკა

ორატორები საერთაშორისო მდგომარეობის სრული შეგნებით აღნიშნავდნენ მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების გაერთიანების აუცილებლობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დაბოლოს ბუდაპეშტის სესიის მონაწილეთათვის ჩატარდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

მოხსენებით — ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ — გამოვიდა ჰერტა კუუსინენი, სიტყვებით: საფრანგეთის, კანადის, ინდოეთის, ირანის, ჩილის, კუბის, ანგოლის, სამხრეთ ვიეტნამის, სრულიად აფრიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ქსდფ-ს საბჭოს სესიამ მიიღო 6 დოკუმენტი: დეკლარაცია ქსდფ-ს 25 წელთან დაკავშირებით, რეზოლუციები ინდოჩინეთის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის უშიშროების საკითხებზე, მოწოდება ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა მიმართ სოლიდარობის გაძლიერების შესახებ და ქსდფ-ს 1971-1972 წლების სამუშაო გეგმა.

გეგმაში მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დასახული. სახელდობრ: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი სემინარი, რომელიც მიმდინარე წელს ჩატარდება ინდოეთში; სემინარი მიძღვნილი გლეხ ქალთა და მათი ოჯახების ცხოვრების პრობლემებისადმი — ამ სემინარის ჩასატარებლად შეირჩევა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ქვეყანა; ქალთა ეროვნული კადრების მოსამზადებლად ცენტრის შექმნა სუდანში; სახსრების შეგროვება ქ. ჰანოის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრის ასაშენებლად და სხვა.

* * *

ბუდაპეშტის სესიის შედეგებს და საბჭოთა ქალების კომიტეტის ამოცანებს მიეძღვნა პლენუმი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გაიმართა ქ. მოსკოვში.

პლენუმზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი-კოსმონავტი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.

მომხსენებელმა მიმოიხილა ქსდფ-ს საქმიანობა, აღნიშნა, რა წვლილი შეაქვს ამ საქმიანობაში სსრკ ქალთა კომიტეტს და დასახა მომავალი სამუშაო გეგმა.

„გასული წელი კომიტეტის მუშაობისა, — თქვა მომხსენებელმა, — ხასიათდება ვიეტნამის, არაბეთისა და აფრიკის მებრძოლი ქვეყნების მიმართ სოლიდარობის კამპანიებით, აგრეთვე თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ საბერძნეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, სამხრეთ აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა მიმართ სოლიდარობის აქციებით. სახელდობრ: გაძლიერდა საქმიანობა მშვიდობის საბჭოთა ფონდისათვის სახსრების შესაგროვებლად, რამაც მოგვცა საშუალება მატერიალური დახმარება გაგვეწია ვიეტნამის, პერუს, იორდანიის და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებისათვის; კომიტეტი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში აგზავნის ლექტორებს, სპეციალისტებს, რომლებიც დაეხმარებიან ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და ბავშვთა აღზრდის საკითხებში.

კომიტეტის სტიპენდიებით საბჭოთა კავშირის 12 ქალაქში სწავლობს 22 ქვეყნის 100 ქალიშვილი.

კომიტეტის საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ე. წ. ევროპის უშიშროების საკითხებს: მონაწილეობას საერთაშორისო კონგრესებსა, კონფერენციებსა, სიმპოზიუმებსა და სემინარებში, რომელთაგან ორი ჩატარდა ქ. მოსკოვში: ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი 1970 წლის თებერვალში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით გამართული სესია 1970 წლის სექტემბერში, თემაზე: „ქალთა მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში“. სესიაში მონაწილეობა მიიღეს ყველა კონტინენტის 33 ქვეყნისა და ქალთა 20 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია ქალთა კიდევ უფრო ფართო მასების მიზიდვა მშვიდობისა და ევროპის უშიშროებისათვის ბრძოლაში; კონტაქტების გაძლიერება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ ქალებთან და თანამშრომლობის განმტკიცება სოციალისტური ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან. ამ მიზნით, მომავალში კიდევ მეტად უნდა გაფართოვდეს დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარება ისეთ საკითხებში, ... ცაა: ქალთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლება; პროფესიონალურ-ტექნიკური მომზადება სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნილებათა შესაბამისად; მოზარდთაობის აღზრდა და სხვ.

„ქალთა მოძრაობის განვითარება, — დასძინა ვ. ტერეშკოვამ, — მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში. ბურჟუაზიის პროპაგანდისტული მანქანა მიმართულია ე. წ. „ღია საზოგადოების“, „თავისუფალი დემოკრატიის“ ქებათა-ქებისაკენ. ეს პროპაგანდა ცდილობს მოწამლოს ადამიანთა შეგნება ანტიკომუნიზმის, ანტისაბჭოური შხამით, დაარღვიოს ქალთა ორგანიზაციების ერთიანობა. ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ამოცანაა გაამახვილოს პოლიტიკური სიფხიზლე, გააძლიეროს მუშაობა ორგანიზაციების კადრების მომზადების, მათი იდეურ-პოლიტიკური წრთობის მიმართულებით.

კომიტეტმა კიდევ მეტად უნდა გააძლიეროს მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდა, პროპაგანდა ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობისა ქალთა განთავისუფლების ხაზით“.

* * *

პლენუმმა მოიწონა ქსდფ-ს ბუდაპეშტის სესიისა და მასში მონაწილე საბჭოთა ქალების დელეგაციის მუშაობა და დაადგინა:

გაძლიერდეს სოლიდარობის აქციები კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტეიდის, ფაშისტური დიქტატურისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ინდოჩინეთის, არაბეთისა და სხვა ქვეყნების ქალთა და ბავშვთა მიმართ.

ამ მიზნით კიდევ მეტად უნდა დავეხმაროთ განვითარებადი ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სანიტარული განათლების დონის ამაღლებისათვის საჭირო კადრების მომზადებაში; გავაძლიეროთ მშვიდობის ფონდი, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჰანოის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრის მშენებლობაში;

უცხოეთის ქალთა ფართო მასებში გავაძლიეროთ პროპაგანდა სრულიად ევროპის უშიშროების კონფერენციისა და ევროპის ხალხების საზოგადოებრივი ფორუმის მოწვევისათვის.

ფართო პროპაგანდა გაეწიოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მშვიდობის დაცვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ;

პროპაგანდა გაეწიოს ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას ქალთა სოციალური განთავისუფლების საქმეში და სსრკ ქალების გამოცდილებას ამ საკითხში;

გავამახვილოთ ბრძოლა ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოური პროპაგანდის წინააღმდეგ, ვამხილოთ რეაქციონური თეორიები, რომლებიც ამცირებენ ქალის როლს საზოგადოებასა და ოჯახში.

* * *

საქართველოს ქალთა კომიტეტი ერთ-ერთი მძლავრი ფრთაა საბჭოთა ქალების ორგანიზაციისა, ჩვენი რესპუბლიკის ქალები აქტიურად მონაწილეობენ ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში და გარკვეული მიღწევებით ეგებებიან დღევანდელ ზეიმს, 8 მარტის 61 წლისთავს.

წინ მრავალი ამოცანაა, დიდი საერთაშორისო საქმე.

ეს საქმე იწყება საკუთარ ოჯახზე, მეზობელზე, სოფელზე, ქალაქზე, ქვეყანაზე ზრუნვით, ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე ფიქრით და მაღლდება ზოგადსაკაცობრიო ინტერესებამდე.

ეს თვისებები იყო, არის და დარჩება ქართველი ქალის დამახასიათებლად. ამიტომაა, რომ ასეთი გულმხურვალებით ეხმაურება იგი საერთაშორისო მოვლენებს, დახმარების ხელს უწვდის ყველას, ვისაც ესაჭიროება ეს დახმარება, ხმას იმაღლებს სამართლიანობის, მშვიდობისა და სიცოცხლის დასაცავად.

ვულოცავთ ჩვენი რესპუბლიკის ქალებს დიდ დღესასწაულს — 8 მარტს და ვუსურვებთ მრავალზე მრავალ გამარჯვებას მათს ღვაწლს საქმიანობაში, მშობელი ერისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა საკეთილდღეოდ.

# ერის ხუთ-წლედი!



მაუდ-კამვოლის კომბინატი. მაყვალა ბარათაშვილი.

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში დიდი აღმავლობით ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობისათვის. ყველგან, მატერიალური დოვლათის წარმოებისა და შემოქმედებითი ძიების ყველა სფეროში, წარმატებით იპყრობენ ახალ-ახალ ზღუდეებს.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებით, არსებული მოწყობილობების უფრო ეფექტური გამოყენებით, ახალ წამოწყებათა დანერგვით და შრომის ორგანიზაციის სისტემატური სრულყოფით, თბილისის 1 მაისის რაიონის საწარმოებს მიეცათ საშუალება საგრძნობლად გაედიდებინათ პროდუქციის ზრდის ტემპები. რაიონის სამრეწველო ორგანიზაციებმა 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულეს სამრეწველო წარმოების მოცულობის 5-წლიანი გეგმა. შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს რაიონის სამშენებლო-სატრანსპორტო ორგანიზაციებმაც.

პირნათლად გაანაღდეს ხუთწლიანი გეგმები და ახლა მეცხრე ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ: მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო", ქარხანა „მაგნიტოფონი", რძის, წისქვილისა და საკონდიტრო კომბინატები, თამბაქოს № 2 ფაბრიკა. მათ მხარს უმშვენებენ ტელეგრაფული აპარატების ქარხანა, პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერია", თბილგვირაბმშენის და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოები, ამიერკავკასიის გზათა მშენებლობის № 1 სამმართველო და სხვა კოლექტივები.

ეს მიღწევები განპირობებულია იმ დაუღალავი შრომით, რაც აღნიშნულ ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივებმა გასწიეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიღწეულ წარმატებებში საგრძნობლად დიდია ქალთა შრომის ხვედრითი წონა.



მაუდ-კამვოლის კომბინატი. ანა როდინსკაია.

მაგალითად, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" გასული წლის 1 ნოემბრისათვის 378 მუშამ შეასრულა ხუთწლიანი გეგმა, მათ შორის — 259-მა ქალმა. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი, მაყვალა ბარათაშვილი, ნათელა პოსოშვილი, ტატიანა ნოზაძე, რუსუდან ქავთარაძე, ანა როდინსკაია და სხვები, რომლებიც უკვე 1972 წლის ანგარიშში მუშაობენ. 27 წელია კომბინატში მუშაობს მქსოველი მაყვალა ბარათაშვილი, მისი მიღწევა განპირობებულია საწარმოო ოპერაციების ჩატარებისათვის შრომის დროის დანახარჯე-

ბის საგრძნობი შემცირებით, ამან საშუალება მისცა პირადი ხუთწლედის დავალება 3,5 წელიწადში შეესრულებინა და ქვეყნისთვის 55 ათას მეტრამდე მაღალხარისხოვანი ქსოვილი მიეცა.

დიდ წარმატებებს მიაღწია საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ ირისის დამამზადებელმა ბრიგადამ, რომლის ძირითად ბირთვს ქალები შეადგენენ. ლამარა რაზმაძის, მარო გამყრელიძისა და მარგალიტა ცერცვაძის დაუღალავი შრომის შედეგად გამოშვებულია 2.000 ტონაზე მეტი საკონდიტრო ნაწარმი, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 1.644 ტონისა.

სამაყოა ის გარემოება, რომ თბილისის რძის კომბინატში კომუნისტური შრომას დამკვრელების — გურამ გაგუასა და ვასილ ვასილენკოს გვერდით სასახელოდ შრომობენ ხაჭოს საამქროს ოსტატი თამარ დანელია და დიეტური საამქროს მუშა ნუნუ ჭიქურიძე. ისინი სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს. ამ სახელოვან საწარმოში, რომლის მიღწევები არაერთხელ აღნიშნულა მთავრობის მაღალი ჯილდოებით, მომუშავეთა ნახევარზე მეტი ქალებია.

გასული წლის 25 აგვისტოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება პარტიის რაიონულ კომიტეტს უპატაკა ტელეგრაფული აპარატების ქარხანამ. ნაკისრი გეგმები პირადად შესრულებული აქვს 170 ადამიანს, მათ შორის 60 ქალს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელექტრომემონტაჟეები: თამარ ხუციშვილი, ტატიანა გრიხინა, ვიოლა ბაღდასაროვა და სხვები, ისინი კომუნისტური შრომის დამკვრელები არიან და სახელმწიფო დავალებებს დიდი გადაჭარბებით — 170-200 პროცენტით ასრულებენ.

მაღალი პასუხისმგებლობით შრომობენ ქალები სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან უბნებზე, როგორიცაა მშენებლობა და ტრანსპორტი.

მარტო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში 300-ზე მეტმა ქალმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის დავალებანი. მათ შორის სამაგალითო შრომით გამოირჩევიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს ხარატი ელვირა რუფოვა (იგი ყოველდღიურ გეგმებს 120-125 პროცენტით ასრულებს), ტრამვაის № 1 და № 2 დეპოს კონდუქტორები, კომუნისტური შრომის დამკვრელები ნათელა ნაცვლიშვილი და ირინე ტაბატაძე, ტროლეიბუსების № 1 დეპოს კონდუქტორი ოლღა ნიკოლსკაია, რომელმაც გასული წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქალები დგანან რაიონის მშენებელთა დიდი არმიის მოწინავე რაზმში. მაგალითად, ლენინის ორდენოსან თბილგვირაბმშენის სასახელო წარმატებებში საგრძნობი წვლილი შეაქვთ მეამწე-მემანქანეებს, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატს, კომუნისტ ნორა აბესაძეს, მარიამ სელივანოვას, პოლინა გრიბინას, მარიამ გაპილოვას, ნადეჟდა ხაბიდულინას და სხვებს. ისინი თავიანთი დაუღალავი შრომით ტოლს არ უდებენ მამაკაც მეტრომშენებლებს და მათთან ერთად მეტად რთულ პირობებში ახორციელებენ თბილისის მეტროპოლიტენის მონუმენტურ ნაგებობას.

პარტიის რაიონული კომიტეტი ყოველმხრივ ხელს უწყობს ქალების აქტიურ მონაწილეობას ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, ჰქმნის ყველა პირობას მათი შრომითი აქტივობის ასამაღლებლად.

**ვარვარა გრიგალაშვილი,**
საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი.


მაუდ-კამვოლის კომბინატი. ტატიანა ნოზაძე.


რძის კომბინატი. ნუნუ ჭიქურიძე.


რძის კომბინატი. თამარ დანელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა შავლიაშვილი

# ცისკრიდან მწუხრამდე

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

მაგიდაზე ტელეფონმა დაიწკრიალა. მდივანი ქალი მილს დასწვდა.

— დიახ, — როცა გამოეპასუხნენ, ქალი უნებურად ფეხზე წამოდგა. — არა, არავის დაურეკია, ოღონდ აქ კომისია გელოდებათ.

— ...

— წყალთა მეურნეობის სამინისტროდან, წყლის რესურსების დაცვის კომიტეტისა და სახელმწიფო სამეურნეო კომიტეტიდან არიან.

— ...

— კარგი, გადავცემ, — ქალმა მილი ფრთხილად დადო ადგილზე, და როცა თავი აწია, სამმა წყვილმა კითხვანიშნასახლებულმა თვალმა ღიმილი მოჰგვარა. — ოც წუთში აქ იქნება! — ღიმილი შეიშრო და საქმიანი ტონით გამოაცხადა მდივანმა.

— აკი საძოვარზეაო წასული? — იკითხა მარინემ.

— დილას, სისხამზე გავიდა. სამანქანო გზა სამთავა გორამდეა მიყვანილი. იქიდან მწყემსების მთავარ ბინამდე ცხენით ორი საათის სავალია, მაგრამ აღმართსა და დაღმართზე ერთნაირად დააჭენებს. ისე რომ, იქით-აქეთ სამი საათიც არ დასჭირდება.

— იქიდან ხომ დაღლილი დაბრუნდება. ჩვენ კი ამხელა საკითხით მოვადექით, — შეწუხდა მარინე.

— დაღლილი? — ისე შეიცხადა მდივანმა, თითქოს მის ღირსებათვისებებს შეეხო ვინმე. — აბა, დღევანდელი დღის წესრიგს დახედეთ.

მარინემ მანქანაზე დაბეჭდილი ქაღალდი ზრდილობიანად ჩამოართვა. „ექვსი საათი — საძოვარი. თორმეტი საათი — სავაჭრო ორგანიზაციების თათბირი. ორი საათი — წყალსადენის ახალი ტრასის დასადგენად ორხევსა და დიდღელეში წასვლა... — ქალმა საათს დახედა. თერთმეტს აკლდებოდა ისრები. — „ესე იგი, ჩვენს ხელთ მხოლოდ ორმოციოდე წუთიღა რჩება. ამ ხანში მოხსენებასაც ვერ მოვასწრებთ. როდისღა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს?“ — გაიფიქრა გულდაწყვეტილმა, ცხრამუხლიან სიას თვალი აარიდა, ოღონდ ბოლოში „ქალაქში წასვლას“ მოჰკრა თვალი და თითქოს საკუთარ თავს შეეკითხაო, წყნარად თქვა:

— ისიც დღეს მოდის ქალაქში?

— ხვალ დილას მოსკოვში მიფრინავს სესიაზე, — ამაყად თქვა მდივანმა ქალმა. ეტყობოდა საკუთარ თავსაც უნაწილებდა იმ ცდასა და გარჯას, რამაც რაიკომის მდივანი დაფასებული და პატივსაცემი გახადა.

ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო და ახალ ყაიდაზე შეკერილ პალტოში გამოწყობილი ქალი იქ მყოფთაკენ ჯიქურად წამოვიდა. პირველად მარინეს გამოუწოდა ხელი. ღიმილმა ორივე ლოყა ჩაუჩუტა და თვალები როგორღაც კეთილად აუციმციმდა... მარინემ თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

— ბოდიშს ვიხდი, რომ გაცდევინეთ. სანამ მამაკაცის ჩექმასა და შარვალს კაბით შევცვლიდი და ისევ ქალად ვიქცეოდი, დამაგვიანდა, — ქალმა სტუმრები კაბინეტში შეიპატიჟა, პალტო გაიხადა და თავისი სავარძლისაკენ გაემართა.

„უჰ რა ლამაზი კაბა აცვია. თვითონაც რა კოხტაა!“ — გაიფიქრა მარინემ.

— გისმენთ! — დაჯდომისთანავე დინჯად წარმოთქვა რაიკომის მდივანმა.

— ჩვენ წყალსაცავის თაობაზე გეახელით, — თქვა შალვამ. მდივანმა შალვას ერთიანად გათეთრებულ თავზე აათვალიერა მზერა, ზარის ღილაკს ორჯერ დააჭირა თითი და იმავე წამში გვერდის კარიდან შემოსულ თანაშემწეს მიუბრუნდა.

— მშენებლობისა და მეორე ობიექტის უფროსები გამოიძახეთ. მერე ამ საუბარს დაესწარით! — თქვა და ისევ შალვას შეხედა.

— ამხანაგო თამარ, წყალსაცავი ასავსებად მოუმზადებელია. თუ ის ხეები მთლიანად არ ამოიძირკვა, შუახევის ისტორია განმეორდება.

— ესე იგი?

— თევზის მოსაშენებლად ეს აუზი სავსებით უვარგისი გახდება, რადგან ფესვი ლპობის დროს მომწამლავ გაზს გამოჰყოფს და თევზსაც ანადგურებს და ჰაერსაც სწამლავს.

— ჩვენ კი მანდ აგარაკის გაშენებას ვაპირებთ. მშენებლები რით ასაბუთებენ ამოუძირკველობას?

— ხარჯთაღრიცხვა არ ითვალისწინებსო, ამბობენ. იქ წყალსაცავის მომზადება წერია. ეს კი ამოძირკვასაცა გულისხმობს და იმ ძირკვების გატანასაც. ისინი ამ სამუშაოზე განკუთვნილ ფულს ეკონომიაში იწერენ და საქმის ვადაზე ადრე დამთავრებისათვის პრემიას ელოდებიან.

— თქვენ რას გვეტყვით?

„მე შალვასავით მოკლედ და გასაგებად ვერ ჩამოვქნი აზრს“, — გაუელვა მარინეს და მოულოდნელად დაბადებულმა შიშმა გული შეუკუმშა.

— პროექტი ამოძირკვას ითვალისწინებს, მაგრამ იმ ფრიალოებზე მიდგომა და სამუშაოს მექანიზირება თითქმის შეუძლებელია. აფეთქება კი კამხალის თიხის ეკრანს დააზიანებს და ხელახლა გასაკეთებელს გახდის. მშენებლების სიჯიუტის ერთი მიზეზი ესეცაა, — მდევარდადევნებულივით ერთბაშად ჩამარცვლა მარინემ და თვითონვე გაიოცა — ასე უცებ საიდან გამიჩნდა ამ ქალისადმი ამისთანა რიდი და პატივისცემაო.

მდივანმა კომისიის მესამე წევრის აზრიც ისეთივე დარბაისლური სიდინჯით მოისმინა.

— თქვენ ერთი პირი და ერთი აზრი გქონიათ. ახლა მშენებლები ვალაპარაკოთ.

იმავ წუთში გაიღო კარი და ობიექტის უფროსი შემოვიდა. სიტყვაზე ასეთნაირად შემოსწრებამ ყველას სიცილი მოჰგვარა. უფროსის მოადგილე შემოჰყვა. მდივანმა დასაჯდომად ხელით მიიპატიჟა და თვალებით კითხვა შეაგება.

— დიახ, ეს ხალხი ამ დილას ჯერ ჩემთან იყო. ვიცი, რასაც მოითხოვენ, მაგრამ ჩიტი ბდღვნად არა ღირს. ეგ საქმე ისეთ დიდ თანხებს მოითხოვს, იქ მოშენებული თევზი მაგის მეათედიც არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმატზე კი ამოუძირკველობა არავითარ გავლენას არ ახდენს, — მორიდებით მოახსენა უბნის უფროსმა.

„ეს კაცი დიდი მელა ვინმე იქნება. აქ როგორი თავმოკატუნებული ლაპარაკობს, ჩვენთან კი დილას როგორ იქნევდა ხელებს. — სიბრაზემ ლოყები აუფაკლა მარინეს, მაგრამ მაშინვე სხვა აზრმა გაუელვა: — ეგებ ამასაც ის გაუგებარი რიდი და პატივისცემა ახრჩობს ქედს, ვინ იცის?“

მდივანმა იქ მყოფთ მშვიდი მზერა მოავლო და თანაშემწეს მიუბრუნდა:

— გივი, ცენტრალურ კომიტეტს დამაკავშირე.

გივი ოთახიდან გავიდა.

მარინეს გაოცებამ თვალები გაუფართოვა და გული აუძგერა, მაგრამ ვერც კი მოასწრო გაოცების მიზეზში გარკვევა, რომ მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა.

მდივანი აუჩქარებლად დასწვდა მილს.

— გამარჯობათ, ამხანაგო გიორგი, წყალსაცავის თაობაზე გირეკავთ... დიახ, მშენებლობა ჩვენს რაიონშია, მაგრამ, ვისაც აშენების საქმე ეხელმწიფება, ის მე არ მემორჩილება. ამიტომ გადაწყვეტაგანკარგულებისათვის თქვენ მოგმართავთ.

...მშენებლობის სამინისტრო, საპროექტო ღირებულების გაძვირების საბაბით, თევზის მოშენებაზე უარს გვეუბნება.

...მე რა აზრისა ვარ? რა თქმა უნდა, ეგ ხელჩასაქნევი მიზეზი არ არის, თუმცა ჩვენ სულ უთევზობას ძვირი თევზი გვირჩევნია, მაგრამ, უფრო დიდი სამაგრამო ის არის, რომ, რაც თევზსა სწამლავს, ის არც ჰაერის გააჯანსაღებს. ეგ მავნე გავლენა, დღეს არ ვიცით, — ხვალ კი ეგებ დადგინდეს და გამოირკვეს, მაგრამ ფესვები ველარ ამოიყრება. ხოლო ეგ საქმე საამდღეო კი არა, საშვილიშვილოა. ამიტომ გთხოვთ დაავალოთ... — მხოლოდ ერთი წამით შეჩერდა. — დიდად, გმადლობთ. ხარჯის წილში ჩვენც ჩავდგებით. კარგად ბრძანდებოდეთ! — და ისევე აუჩქარებლად ჩამოდო მილი, როგორც აიღო.

„აკი ქალებს დასკვნის უნარი არა აქვთო? — გაუელვა მარინეს. — მაგრამ მოულოდნელი დასკვნა კი არ იყო — მის მიერ ასეთი სისწრაფით გადაწყვეტა იყო გასაოცარი“.

— კომისიის წევრებმა თავიანთი დასკვნა-დასაბუთება მოამზადონ, მშენებლებმა — ზუსტი ხარჯთაღრიცხვა. გივი, მეთევზეთა სამმართველოს დაუკავშირდები და მოსაშენებელი თევზის დაახლოებითი რაოდენობას გამოართმევ. ამ მასალებით ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სახელზე ჩემი და ალმასკომის თავმჯდომარის ხელმოწერით მოხსენებით ბარათს დაწერ. რა უნდა მოახსენო და რა სთხოვო, — უკვე მოგახსენე. დღის ბოლოსათვის მზად იყოს! — საქმიანი და ცივი ტონით გამოაცხადა მდივანმა.

მერე დილანდელივით ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი და მოულოდნელად იმ საოცარმა ქალურმა ღიმილმა ისევ ორივე ლოყა ჩაუჩუტა, ისევ კეთილად აუციაგა თვალები.

მარინე მონუსხულივით შესცქეროდა. როცა დასკვნის დასაწერად მეორე ოთახიდან დაუძახეს, მაშინღა მოსწყვიტა ქალს თვალი და საათს დახედა. თორმეტს ათი წუთი აკლდა.

მაგიდას მიუჯდა, საწერად მოემზადა, მაგრამ ღიად დარჩენილი კარიდან მდივნის ხმა შემოესმა და იმას მიაყურადა.

— გიორგი, მეცხვარეებს ახალი კარავი აუგზავნე.

— ჩეხების ნაჩუქარი?

— ჰო. სამუზეუმოდ ათიდან ერთიცა კმარა. იმათ კი ავადმყოფი ვერავერისათვის შეუფერებიათ. თუ ექიმი უკვე გადმოვიდა ახალსოფლიდან, ჩემი მანქანით ზევით აგზავნე. გუშინწინ შაქრო სარქალი მგელს დაუგლეჯია. ვეტექიმის უმცროსი ბალღიც გაცყოლე. მამა ენატრებაო, და ნახოს, თორემ სანამ დოლი არ ჩათავდება, მამამისი აქ ჩამომსვლელი არ არის. ახლა ნინოს უთხარი...

თანაშემწემ კარი გამოხურა და ფეთიანად შეუდგა მუშაობას. სხვებიც დააფეთა განკარგულებებით. ყველა თანამშრომელი ფეხზე დააყენა და ცეცხლი შეუნთო.

ორიდან გადასული იყო, როცა მარინე და შალვა ისევ მდივანთან მოიხმეს. ორივე ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ოთახში მაინც დამძიმებულიყო ჰაერი. მაგიდას მოთათბირეებიდან მხოლოდ ერთი კაცილა შემორჩენოდა. მდივანი ისევ ტელეფონით ლაპარაკობდა. ხაზის მეორე ბოლოში ვიღაც ქალი ისე ხმამაღლა და გარკვევით ამბობდა სათქმელს, მარინეს სიტყვა-სიტყვით ესმოდა:

—... კურსის ამხანაგებიდან ყველანი მივდივართ დაკრძალვაზე. შენ კი შემოგითვალა: მხოლოდ დეპეშა გამოგზავნე, არ ჩამოხვიდეო.

— რატომაო? — იკითხა მდივანმა.

— ოინბაზო. კიდევაც რომ კითხულობ. დაგავიწყდა ეთერის ბებიის ქელეხზე როგორ დახოცე ხალხი სიცილით. შენ მოლოკვილი იჯექი, სხვები იგუდებოდნენ. მამამისს ეთქვა: თამარის გარდა არც ერთი შენი ამხანაგი არა ვნახო ჩემს ოჯახში შემოსულიო. ჰოდა, თინამ თქვა: ეთერის თავისი ოჯახი აქვს და იქ მიიღებს ამხანაგებს. ჩემთან კი ერთი კაციც რომ გააცინოს, დედამთილი თქვენ კი არა ,მეც გამომიისტუმრებსო.

— რამდენი წლისა იყო მამამთილი?

— ეთერის ბებიისათვის ორი წლით უკომბნია. ოთხმოცდაათი შეუსრულებია.

— როდის ასაფლავებენ?

— ზეგ.

— ქელეხის დროს სადმე ტელევიზორი ჩართეთ. ეგება ექსორიაქმნილმა სადმე თვალი მოგაკვრევინოთ, შორიდან გადაგიხადოთ სამაგიერო და გაგაცინოთ, — მდივანმა სიანცით გაბრწყინებული თვალები მარინეს შეანათა. მერე ის აზარტული ეშმაკობა როგორღაც ერთბაშად ჩაიქრო და მაგიდის ბოლოში მჯდომ კაცს სერიოზულად შეეკითხა:

— პეტო, შაქარი გაწყდა ქვეყანაზე?

— რათა, უფროსო, რამ გაწყვიტა?

— მაშ მაღაზიაში რად გაგიქრა? დედაჩემმა დილას ჩაი მურაბით დამალევინა. ოთხი დღეა დავდივარ და არ გამოაქვთო.

— დღესვე გადმოვიტან საწყობიდან, უფროსო, — აწრიალდა კაცი. ქუდი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა, მერე ორივეთი ჩაბღუჯა.

მდივანმა მხოლოდ თავი დაუქნია და კაცი ელდანაკრავივით გავარდა ოთახიდან. ქალი მარინესა და შალვას შემოუბრუნდა.

— თუ ძალიან არ დაიღალეთ, წყალსადენის ტრასაზე წავიდეთ.

მანქანამ გაჩერება ვერ მოასწრო, ათიოდე კაცი საყაჩაღოდ გამოსულთა სისწრაფით შემოეჯარა. პირველად მდივანი გადმოვიდა და იქაური სოფსაბჭოს თავმჯდომარე, სამუშაოთა მწარმოებელი და დანარჩენი დამხვდურები მოსულებს გააცნო. სამების გორაზე ფეხით ავიდნენ. სამანქანო გზა ერთიანად ჩაერეცხა ნიაღვრებს. ზევიდან სოფელი ხელისგულივით მოჩანდა. წინათ მთის კალთებზე შეფენილი სოფელი ახლა ბარში ისე ჩასახლებულიყო, თითქოს მეწყერს ჩაჰყოლოდა საკუთარი ნებით.

ზევით რამდენიმე სახლი სამოწყალოდ ხელგაწვდილი დედაბერივით გამმარტოებულიყო. მხოლოდ ორიოდ ეზოში იგრძნობოდა სიცოცხლის მაჯისცემა.

ქვევით კრამიტგადახურული სახლები წითელქუდა სოკოებივით თხილის გაბარდულ ტოტებსა და ბროწეულის პრიალა ფოთლებში განაბულიყვნენ.

ზევით, სამების გორაზე, მუხლშედგმული სამი ტოტებგანიერი კაკლის ხე ვაჟკაცურად აჭყლაშუნებდა რტოებს. მათი ჩრდილი ამ გორას მზისგულზე საჩრდილობლად ჰყოფნიდა, ხოლო თამამად განზე გასული ხშირფოთოლა მკლავები — წვიმა-ავდარში საიმედო ქოლგად და საფარველად.

— „სამების მთა ძველი ნასაყდრალია, ალბათ. კიდევაც ამაზე დიდებულ სასაყდრო ადგილს სოფელში კი არა, მთელ არემარეში სანთლით ვერ იპოვის კაცი“, — გაიფიქრა მარინემ და დიდი ზარის მოძახილით შეგროვილი, მორთული ქალ-რძალნი წარმოიდგინა უცებ.

ცოტა მოშორებით, მთის ფეხთით, სოფლის წყარო მიწანწკარებდა. მზართეძოზე წამოწოლილი კოკების რიგს ყურს უკან გაკრული შავმოსახვევიანი ქალები დარაჯებივით ამოსდგომოდნენ. სათვალითა და წინდისჩხირებით შეიარაღებული მოხუცები გრძელ მორზე ჩამორიგებულიყვნენ.

რაიკომის მდივანმა მარინეს სამზერს დაადგა თვალი.

— ეგ არის მაგათი კლუბი და კაფე. ოც წელზე მეტია სოფლის კისერდაგრძელებულ წყაროს მლოცველივით შეყუდებული კოკის ტუჩი არ მოშორებია. ერთი რომ იღებს, მეორე უდგამს: წუთი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიკარგოს და წვეთი არ დაიღვაროსო. ჩვენ აქამდეც ვუპატრონებდით, ჩვენ თავს, მაგრამ ხელმძღვანელობა ნებას არ გვრთავდა. მთელი მხრის სასმელი წყლით მომარაგება ერთიანი სისტემით უნდა განხორციელდესო. ჰოდა, როცა მაგ ყაველგაგრძელებულ სისტემას, როგორც იქნა ღირსა საქმედ ქცევა, ნახევარი სოფელი ისევ უწყლოდ რჩება, რადგან დახედეთ: წყლის მილები იმ ახლადგაყვანილ გზას მიჰყვება, სოფელს რომ შუაზე გაუდის. რადგან წყალსაქაჩი იმ მაღალ მთაზე იდგმება, ტექნიკურად დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს მილების ზევით ამოტანა, საქმე მხოლოდ მისი ღირებულებაა.

— თავიდანვე რატომ ზევით არ დააგეგმარეს? — იკითხა შალვამ.

— იმიტომ, რომ ქვევით ჩასახლებულ სოფელზე იანგარიშეს. სოფელი ქვევით უწყლობასა და უვზოობას გაექცა. აბა, გახედეთ: საკანხე სავარგულები სასახლეებად და საკარმიდამოებად აქციეს. წყალი რომ ზევითა გვქონოდა, გზას ჩვენ თვითონ გავაკეთებდით. მართალია, იქ ფუძემოკიდებული აქ აღარ ამოვიდოდა, მაგრამ ახლომოსახლე საცხოვრებლად, რაღა თქმა უნდა, ამ წალკოტს ამჯობინებდა. აქ ისევ გაშენდებოდა სოფელი, ხოლო ქვედა, განაპირა სავენახეები ისევ ვენახებად შეგვრჩებოდა. ამის თაობაზე საგეგმო კომიტეტსა და სამინისტროში წერილსა ვწერთ. თქვენ იმიტომ გაგაცანით საქმის არსს, იმ წერილს თვალი მიგვიდევნოთ. არ გაგვიგრძელ-გაგვიჭიანურონ პასუხი და გადაწყვეტა.

მდივანმა ქვევით ჩასასვლელად ნაბიჯი გადადგა თუ არა, ამალა მანძილჩაგდებით უკან გაჰყვა. წყაროზე შეგროვილ ქალებს ერთი თალხკაბიანი გამოეყო და მდივანს შეეგება.

— თამარ-ქალო, ის კარგი დედა ნუ მოგიკვდება, ახლა მაინც ნუ ამაცდენ შენი სტუმრების მასპინძლობას.

— არა, ნათლი, ისე მეჩქარება, არც სასტუმროდ მცალია, არც სამასპინძლოდ.

— ქა, მაშ ამ ჩამოსულებს უსადილოდ ხომ არ დასტოვებ. არ იტყვიან, ეს რა ხელპურძვირობის ქვეყანაში მოვხვდითო? — გაიკვირვა ქალმა.

— ამათ მასპინძელს რა დაულევთ. აგერ, ერთი მანქანით ელოდება. მაგრამ, თუ თვითონ უნდათ, — დარჩნენ.

ქალმა ახლა მარინეს შეხედა. მაგრამ მან მადლობა გადაუხადა და მოუბოდიშა: დასარჩენები რაიონში გვიცდიან და უხერხულიაო.

— ეჰ, ჩემი ჭკუადამთხვეული ბიჭი კი უკვე ქორივით დაედევნა ქათამ-წიწილას, — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა ქალმა. — აჰა, დედაშვილობას, ეს ერთი ქილა მაწონი მაინც წაიღე, კამეჩისაა, შენ ხომ გიყვარს.

— გოგი, ახლა ჩქარა იარე, სტუმრები თავის მასპინძელს მიჰგვარე. მე კი მაპატიეთ, თქვენს ტრაპეზს ვერ გავიზიარებ. აგრონომები მელოდებიან. რაც თავი მახსოვს, წინა მხრის სოფლებს მხოლოდ პური, ლობიო და კარტოფილი მოჰყავდათ. ახლა დამზადების გეგმით სიმინდი და მწვანე ბარდა შემოუწერიათ. უნდა მოვეთათბიროთ თუ რენტაბელურია, მოვიყვანთ. არა და... გოგი, მოიცა, ცოტა მო-

შორებით გააჩერე მანქანა. ეს, მგონი, ჩემი „ოთარაანთ ქვრივის“ ხმაა. ვნახოთ, ვისა ტუქსავს აგრე გამეტებით.

— დიახ, დედათქვენია. იქით კიდევ ტომარამოკიდებული პეტო დგას.

— ...არა, მაინცა თქვი, რამდენი წელიწადია კარის მეზობელი ხარ?.

— შემოესმათ მანქანაში მსხდომთ.

მდივანს გაეღიმა.

— რა ვიცი, რაც თავი მახსოვს, — რატომღაც ყოყმანით პასუხობდა კაცი.

— არა, მაინც?

— ოცდაათი იქნება. მაგრამ ახლა ეგ რა მოსატანია? — ბურტყუნებდა დაბნეული კაცი.

— ის მოსატანია, რომ ამ ოცდაათ წელიწადში ოთხი ობოლი წვალებითა და კაიშავდღით გამოვზარდე. შავი კაბა არ გამიხდია და თოხი ხელიდან არ გამიგდია. მე ფრონტელის ქვრივი მერქვა, შენ — მაღაზიის გამგე და გამყიდველი. როდის ერთხელ მოგიწოდებია ჩემთვის საფანელი, როდის ერთხელ გაგიმართია ხელი. ახლა, როცა დავზარდე და დავავაჟკაცე, შენი სამოწყალო რა მჭირს? ახლავე წაიღე, აქედან მოაშორე ეგ ტომარი შაქარი, თორემ მე ვიცი შენი, ამ თონის საჩხრეკელათი დაგიდაღამ მაგ ულხვირპირო პირისახეს.

ტომარამოკიდებული კაცი ძუნძულითა და ბურტყუნით გაიქცა; ჭიშკართან ჩასობილ სოლს ფეხი წამოჰკრა და წაიფორთხილა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და დაღმართზე დაეშვა.

მდივანმა უკან გამოიხედა, თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს მთელი ქვეყნის ეშმაკები და ჭინკები შიგ ჩაესახლებინა. მარინეს და შალვას სიცილი წასკდათ. მერე ის სიცილი ყველას გადაედო.

მდივანი ეშმაკებჩასახლებული თვალებით დედისაკენ წავიდა.

— რაო, დედი, ვინ გაგაჯავრა?

— ვინა შენა და შენ თავს. ჩემი გამჯავრებელიც შენა ხარ და ჩემი მომდონობიც. შენ არ გითხარი, — არამი არაფერი გამაკარო, თუ არ გინდა, ალალზედაც ხელი ამაღებინო და ამ სიბერის დროს ისევ თოხის ტარი დამაჭერინო-მეთქი! რისთვის გამოატანე იმ კაცს ის შაქარი?

— მე რა გამოვატანე? უქონლობის მიზეზი ვკითხე მხოლოდ.

— იმას რას ეკითხებოდი, მე გეტყოდი. შენ კი არ იცი, რომ მურაბობა მოდის და ეგ ნამუსგატეხილები განზრახ გასწყვეტავენ, რომ მერე რიგები გაჭიმონ და წონაშიც დაგაკლონ და ფასშიაც მოგატყუონ?

— კარგი, დედი, ნუ ჯავრობ. ვერაფერსაც ვერ გახდებიან. სირცხვილია, სტუმრები გისმენენ. — ქალი დაიხარა და დედას ყვრიმალზე ისე აკოცა, თითქოს დედა პატარა ბავშვი ყოფილიყოს. მერე მანქანისაკენ გამოიხედა და იქ მყოფთ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

შვილების მორჩილებას მიჩვეულ ქალს ეს დედობრივი მოფერება მუდამ აჯავრებდა და აკაპასებდა. რაც დრო გადიოდა, მის დედურ უფლებას და სიტყვაშეუბრუნებელ ბრძანებას ძალა ეკარგებოდა, სუსტდებოდა. შვილები ძველებურად აღარ ემორჩილებოდნენ. მაგრამ, რადგან დედის სიყვარული, რიდი და პატივისცემა დღითიდღე მტკიცდებოდა, უწინდებურად ყურადღებით უსმენდნენ. ოღონდ დაჯერებით მხოლოდ იმას უჯერებდნენ, რაც თვითონ უჯდებოდათ ჭკუაში.

იცოდა დედამ პატიოსნად დაზრდილები, პატიოსნურ გზას ადგნენ, ავ-კარგის გარჩევა იცოდნენ და ავსა და არამს არაფერს წაეკარებოდნენ, მაგრამ მაინც მოუსვენრობდა დედის გული.

ახლაც ძალიან მოუნდა პატარასავით მიეტყიპა უფროსი შვილი. ხელიც კი ასწია, მაგრამ გარტყმის სანაცვლოდ განზე გასწია, პირი მოარიდა და მოულოდნელად სახეშეცვლილმა, ღიმილით გაშუქებული თვალებით სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

სტუმრებმა თავპატიჟი დაიდეს: გვეჩქარება, სხვები გველოდებიანო. მაშინ ქალი ისევ შვილს მოუბრუნდა:

— წადი, მაგიდაზე ცხელი ნაზუქები და ქადებია გაშლილი, საგზაოდ დაუცხე. ის მაინც ჩამოუტანე ამ ხალხს, — უნდოდა ეთქვა, ხელადით ღვინოც გამოაყოლეო, მაგრამ შვილის ეშმაკურად აციმციმებულ თვალებს წააწყდა და მაშინვე მიხვდა, მის დასაქმებას შესრულება არ ეწერა. ისევე თვითონ შებრუნდა და ენერგიული ნაბიჯით აივნის კიბეს აუყვა.

. . . . . . . . .

გორაკებს უკვე ბინდი მოსძალებოდა, როცა მანქანამ მთებში შეფენილ სოფლებს შორის დაკლაკნილი გზა ჩაათავა და ჭალაში გაჭრილს დაადგა.

თავდაპირველად ოდნავ წამოწვიმა. წვიმის წვეთები როგორღაც მორიდებით ეგლასუნებოდნენ ფოთლებს. რაკი ყველანი ერთნაირ საჩურჩულოსა ჩურჩულებდნენ, მეტისმეტი ერთფეროვანი, ნაზი, მაგრამ დაბეჯითებული შრიალი გაუდიოდა ტყეს. თამარმა ფანჯრის მინა ბოლომდე ასწია. გოგიმ მიმლები ჩართო. წვიმა თანდათან ძლიერდებოდა. წელანდელი ჩურჩული ძლიერსა და ვნებიან ტყლაშუნში გადაიზარდა და მოულოდნელად ტყე აჯანყდა, ახმიანდა, რაღაც მოინდომა, რაღაც მოითხოვა.

თამარმა სკამის ზურგი უკან გადააწვინა, ფეხები ამოიკეცა და პატარასავით მოიბუზა. ქალმა გონების თვალი გადაავლო მთელ დღეს გაკეთებულ საქმეებს და რატომღაც მოეჩვენა, რომ ამდენ შესრულებულში ერთი, ყველაზე სასურველი, შეუსრულებელი დარჩა.

ქალს რული მოერია. უცებ ბოლმა შეუხუთა სუნთქვა. თვალი გაახილა. გოგი თავგამეტებით ექაჩებოდა პაპიროსს. რატომღაც დაეზარა ეთქვა: ახლავე გადააგდეო. და ისევ მილულა თვალი. უცებ ძალიან მოუნდა დიდსა და ძლიერ ხელებს პატარასავით აეყვანათ და საწოლში ჩაეწვინათ. ამდენი ქუდმოშველეპილი კაციდან, მანძილჩავდებით რომ დასდევენ უკან, ერთიც ვერა ხვდება: რა უმწეო და უსუსური ქალია მდივანი, როგორ ენატრება ვინმეს, ძალიან ძლიერსა და ძალიან კეთილს დაემორჩილოს თვითონ. დილით ის დიდი და მშვიდი კაცი წყნარადა ბრძანებს:

— დღეს მთაში ვერ წახვალ!

— რატომ? — მორჩილად იკითხავს ქალი.

— თქოში და ქარიშხალი იქნება. მთა სახიფათოა.

ან კიდევ:

— მაგ კაბას ველარ ჩაიცვამ, დაგვიწროვებია.

და ქალი დამჯერე ბავშვივით გაიძრობს ჩექმას და კაბას. მერე სარკესთან იმდენხანს ივარცხნის თმას, სანამ იმ კეთილ თვალებს მოწონების ღიმილი არ დაავიწროვებს. არადა, იმავ დიდ ხელსავე აწეწინებს და ისევ თავიდან დაიწყებს ვარცხნას.

საღამოს, იატაკზე ფეხმორთხმული, მის ძლიერ მუხლებზე თავს ჩამოსდებს და ბავშვივით აწუწუნდება: რომ ხევგალმა საცდელი ნაკვეთი სეტყვამ ერთიანად გაანადგურა, რომ მესამე წელია მის რაიონს მოსახლეობაზე გასაყიდად მსუბუქ მანქანას არ უყოფენ, — ხალხსა პირდება და პირშავი გამოდის, რომ ნაძრახაანთ გიორგის, მშენებლობაზე შოფრად რომ მუშაობს, მეორეჯერ წაასწრეს ცემენტის ქურდობაზე; მისი ავადმყოფი ცოლი და პაწია ბავშვები ეცოდება და პროკურორისათვის ვერ გადაუცია. არადა, სხვისათვის ცუდი მაგალითია, ხალხი ირყვნება; რომ ამ დილას ცხენმა კლდეს ისე მიახეთქა, მუხლი გადაუტყავა და დაულილავა.

დიდი ხელები ისევ პატარასავით წამოაყენებს, მუხლზე დაისვამს და ჩუმად სათქმელად ყურთან მიუტანს ბაგეს. მაგრამ თქმით არაფერს ეტყვის, ამის ნაცვლად ლოყის განაპირას მოდებულ თმის თეთრ ღინღლს ჯეჯილში დაქროლილი ნიავივით ააფორიაქებს. ამ ღინღლის არსებობაც მხოლოდ მან იცის და ხალზე ამოსული ერთი ბეწვისაც. ამას წინათ უჯავრდებოდა: არ გაბედო ხალზე თმის ამოძრობა. ემანდ არ გაიღიზიანო და საცოდავ მიტოსავით საბედისწერო არ გაიხადოო.

მერე დაიხრება და მუხლგადატყავებულ ფეხს რამდენჯერმე გააშლევინებს. იცის ქალმა სერიოზული არაფერია, მალამოს დაიდებს და ხვალ-ზეგ გაუვლის, მაგრამ მაინც დამჯერი ბავშვივით ხრის და შლის...

...გარედან შემოსულმა წვიმის წვეთებმა სახე დაუნამა. გოგის ფანჯრის მინა ბოლომდე ჩამოეწია ქალმა განზე გაიწია. „ნატკენი“ მუხლი მოუხერხებლად გაშალა და „ვაიო“ — ისე საწყლად წამოიკრუტუნა, თითქოს მართლა შესჩიოდა და უნებივრდებოდა ვინმეს.

მანქანის ფარები ჯიქურად და თავხედურად უტევდნენ სიბნელეს. ტყე ზღაპრულს დამსგავსებოდა. თითოეულ ხეს ჯადოქრები, ალქაჯები და ალები ამოჰფარებოდნენ.

„...ის თეთრი ხელი, თმას რომ მიწეწავდა,
ის ცხელი ცრემლი, ლაწვს რომ მიდაგავდა...“

მღეროდა მიმლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპუტატი, მუშა, მოქალაქე.



ნარკაევი

მიქრის მატარებელი, მიაქვს ოცნება ქართული მიწიდან. რა უნდა გავაკეთო? რას მკითხავენ? რა უნდა ვთქვა? ეს კითხვები არ ასვენებს რუიზანს, და მოუსვენრად გასცქერის რუსეთის უკიდეგანო ველებს. მატარებელი კი თოკავს მანძილს და ნაირნაირ პეიზაჟებს ხატავს. ბოლოს მოსკოვის კონტურებიც დაიხნდა სივრცეს.

სესიის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მიიწვიეს რუიზანი მოსკოვში სესიის მოსამზადებელ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ორი კვირის განმავლობაში იწერებოდა, იკითხებოდა და ირჩეოდა მასალები. იყო მსჯელობა, კამათი. ბევრი რამ თავიდანვე მოსაწონი და მისაღები იყო, ბევრიც — საყოყმანო და შესასწორებელი. დეპუტატები თავიანთი მხარისა და რესპუბლიკის საჭიროებას ითვალისწინებდნენ და კორექტივები შეჰქონდათ სესიის მასალებში. განსაკუთრებულ ყურადღებას საყოფაცხოვრებო მომსახურების საგანთა ფართო წარმოების საჭიროებაზე ამახვილებდნენ. გაირჩა, დაიხვეწა და დალაგდა მასალები. დაიწყო სესია. რუიზან სოკურაშვილი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს სესიის მუშაობას. ღელავდა, როცა ტრიბუნიდან მსუბუქი მრეწველობის საკითხებს იხილავდნენ. სამკერვალო ფაბრიკებსა და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზეც ჩამოვარდა სიტყვა. მათი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული. მოითხოვდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. რუიზანის ფაბრიკა კავშირში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება, მაგრამ ეს საყვედური მასაც შეეხება. რუიზანმა ახლა უფრო ცხადად შეიგნო თავისი მოვალეობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვალდებულება ხალხისა და სამშობლოს წინაშე, თავისი კოლექტივისა და ფაბრიკის წინაშე. ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთოს რუიზანმა, რომ ამ მაღალ ტრიბუნას თვალი თამამად გაუსწოროს, სახალხო საქმეს ძალა და ენერგია მოახმაროს და თავისი კვალი დააჩნიოს. პირველ რიგში ფაბრიკის ზრდა-განვითარებაზე უნდა იზრუნოს.

ფაბრიკა 1922 წელს შეიქმნა ქალთა სამკერვალო საზოგადოება „ნემსის" ბაზაზე. შემდეგში მას წვრილ-წვრილი საწარმოები და ატელიეები შეუერთდნენ. ამ დროისათვის ფაბრიკაც პატარა იყო და შენობაც შესაფერისი ჰქონდა. ახლა კი ფაბრიკის სიმძლავრე დღითიდღე იზრდება, მისი ადგილსამყოფელი კი პირვანდელი და უცვლელი რჩება. თანამედროვე საწარმოსათვის შეუფერებელი ძველი ყაიდის ულამაზო შენობა ეპატარავება. მხრების გაშლა და სივრცე სჭირდება. ფაბრიკის მანქანა-დანადგარებაც მოძველდა. გაცვდა, ჯიუტობს და მუშახელს ადვილად აღარ ემორჩილება. ეს კი კერვის სიჩქარეს ამუხრუჭებს, პროდუქციის ხარისხზე ცუდ გავლენას ახდენს და რაც მთავარია, მუშის განწყობილებაზე მოქმედებს. ამიტომ რუიზანმა მათ შეცვლა-განახლებაზე უნდა იზრუნოს. რუიზანი იმაზეც ფიქრობს, რომ ფაბრიკის კოლექტივს დიდი ხანია მუშა-მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყება უნდა, თანხაც აქვთ გადადებული, მაგრამ რატომღაც აშენება ყოვნდება. რუიზანი ახლა ამ საქმესაც თვითონ ითავებს და ბოლომდე მიიყვანს, ამით დააჩქარებს ფაბრიკის წინსვლას, განახლებას, მისი ადამიანების სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მათი ხასიათისა და განწყობილების ამაღლებას. ეს კი მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე უთუოდ დიდ გავლენას მოახდენს. მაშინ მათ ნახელავზე სამდურავს ვერავინ იტყვის. მომხმარებელიც ბევრი და მადლიერი ეყოლებათ. მაგრამ რუიზანმა იცის, რომ მარტო შეკერვის ხარისხი ვერ გაადიდებს მოთხოვნილებას მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე. ამისათვის საჭიროა, რომ ფაბრიკის მოსამზადებელ საამქროში მხოლოდ თანამედროვე სტილის ქსოვილი შემოჰქონდეთ შესაკერად. ისეთი, რომელიც ფერით, ხარისხით და მოდურობით მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს.

ოცნების თვალი გადაავლო რუიზანმა ფაბრიკის ცხრავე საამქროს. აქედან ექვსი სამკერვალო საამქროა. სხვადასხვა საამქროში სხვადასხვაგვარი ტანსაცმელი იკერება. რუიზანს ყველა სამკერვალო საამქროში უმუშავნია, ყველანაირი ტანსაცმელი შეუკერია დიდებისათვის, მოზრდილებისათვის, პატარებისათვის და ხუთი თითივით იცნობს მთელ ფაბრიკას. აქ დაქალიშვილდა, აქვე აუფეთქდა სიყვარულის პირველი კვირტი და ჩაეყარა საძირკველი მისი ოჯახის ფუძეს. მთელმა ფაბრიკამ იზეიმა რუიზანისა და ფაბრიკის ელექტრომონტიორის უშანგი დილმელაშვილის შეუღლება. აქ, ამ ფაბრიკაში გაიგო რუიზანმა ცხოვრება, მისი სიავკარგე. ფაბრიკასთან არსებულ საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ. პატარაა, ვერ შესძლებსო. მართლაც, პატარა იყო რუიზანი, 14 წლის გოგონას ალბათ კიდევ სჭირდებოდა დედის მზრუნველი ხელი და თბილი კალთა. მაგრამ მკაცრი და დაუნდობელი იყო ომი — ნაომარი ქვეყანა ხელმეორედ ასაშენებელი, ოჯახი ასაღორძინებელი. უჭირდა მარტოხელა დედას სამი შვილის გაზრდა და ოჯახის გაძღოლა. დედის ნაჯაფი მხრები და დაღლილი თვალები უსიტყვოდ ითხოვდნენ შველას. დედისადმი თანაგრძნობამ და უმამობამ გოგონა ნაადრევად ჩააბა შრომის ფერხულში. რუიზანმა საქარხნო-საფაბრიკო სკოლა დაამთავრა. ეს სკოლა ფაბრიკა-ქარხნებისათვის მუშახელს ამზადებდა და ანაწილებდა. რუიზანი იქვე დასტოვეს. მესამე საამქროში დაიწყო მუშაობა მკერავად. რუიზანს ახლაც თვალწინ უდგას საამქროს მაშინდელი უფროსი გიორგი ორთოიძე, რომელიც გოგონაზე მამასავით ზრუნავდა. რუიზანი ვერასოდეს დაივიწყებს საამქროს ტექნოლოგის ალექსანდრა ზებედაშვილის ამაგს.

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა რუიზანის მეორე ოჯახად იქცა. შრომობდა გოგონა. დილით მზის ამოსვლას ასწრებდა, ფაბრიკაში გარბოდა და უფროსებს მხარს უსწორებდა. საღამოთი დედას საოჯახო საქმიანობაში ეხმარებოდა ან თანატოლებთან დროსტარებას და დაჭერობანას თამაშობდა. ასე შეერწყა ერთმანეთს ბავშვობა და ქალობა. გადიოდა დღეები, რუიზანი იზრდებოდა. წამოიზარდნენ მისი ძმებიც და დედას ტვირთი შეუმსუბუქეს. წელში გასწორდა ოჯახი. სამუშაოდან დაბრუნებული რუიზანი წიგნებს ჩაუჯდებოდა, წერდა, კითხულობდა, გაკვეთილებს ამზადებდა. ახლა ბავშვობაში მიტოვებული სკოლის მერხს დაუბრუნდა და მოთმინებით სწავლობდა. 1958 წელს წარმატებით დაამთავრა მუშა-ახალგაზრდობის სკოლა და სიმწიფის ატესტატი აიღო. იმავე წელს პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა ქალიშვილს პარტიული ბილეთი ჩააბარა. რუიზანი წლების მანძილზე ფაბრიკის პარტიული კომიტეტის უცვლელი წევრია, საამქროს პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე და ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეა. ამიტომაც იცის რუიზანმა მთელი ფაბრიკის ავან-ჩავანი, იცის სად ულხინთ და სად უჭირთ, რომელი საამქროა მოწინავე და რომელი ჩამორჩენილი. თუმცა ჩამორჩენილი საამქრო ფაბრიკაში არც კი მოეძებნებათ. ფაბრიკა კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებს. პირველ ხუთწლედთან შედარებით ფაბრიკის სიმძლავრე 50 პროცენტით გაზარდეს, ხოლო შრომის ნაყოფიერება 55 პროცენტით გაადიდეს. ხუთი წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 34 ათასი მანეთის პროდუქცია. მიღებული აქვთ 476 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. ხუთწლიანი გეგმა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 7 ნოემბრისა, 12 ოქტომბრისათვის შეასრულეს. შარშან ფაბრიკამ კარგი მუშაობისათვის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ამაში ერთ-ერთი მთავარი როლი რუიზანს ეკუთვნის. რუიზანმა ფაბრიკაში დეპუტატთა საგუშაგოს შექმნის საკითხი წამოაყენა, საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატები დარაზმა, დეპუტატთა საგუშაგო შექმნა და მისი ხელმძღვანელობა ითავა. სისტემატურად ამოწმებენ ყოველდღიური გეგმის შესრულებას, კერვის ხარისხს, საამქროების სანიტარულ მდგომარეობას. საგუშაგომ ყურადღება საამქროების ესთეტიკურ მხარეზეც გაამახვილა, მაგრამ მთავარი, რაც გააკეთა, ის არის, რომ საგუშაგომ ახლებურად გამოიყენა ფაბრიკაში დაბანდებული მუშახელი. ბევრი მუშა იოლი საქმით იყო დაკავებული, ისეთით, რომელიც განსაკუთრებულ ცოდნასა და გამოცდილებას არ მოითხოვს (მაგალითად, იარლიყის დაკერება, მზა ტანსაცმლის ყუთებში ჩაწყობა, შეფუთვა და სხვა). საგუშაგოს ინიციატივით ზედმეტი მუშახელი ასეთი სამუშაოსაგან გაათავისუფლეს, კერვა შეასწავლეს, პროფესიონალური ცოდნით აღჭურვეს და ძირითადი ოპერაციების წარმოება დააკისრეს. დეპუტატთა საგუშაგოს ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო: შრომის ნაყოფიერება გაზარდა და წლიური გეგმის შესრულება დააჩქარა. დეპუტატთა საგუშაგომ აამაღლა შრომის დისციპლინა, გაზარდა მომთხოვნელობა მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად. ფაბრიკაში ამ მხრივ პირველ სიტყვას თვით რუიზანის ბრიგადა ამბობს. მისი ბრიგადა კომუნისტური და ამასთანავე ახალგაზრდულიც არის. ბრიგადის ხელმძღვანელი ლია გოზალიშვილი სიცოცხლით სავსე, მჩქეფარე ბუნების ქალიშვილია. ბრიგადა ყოველთვიურ გეგმას 130 პროცენტით ასრულებს. ახალგაზრდული შემართება, მუყაითობა, შრომის სიყვარული და ახლის ძიების წყურვილი განაპირობებს ბრიგადის წარმატებებს. ბრიგადა ერთი უწყვეტი ჯაჭვია, რომელიც 26 რგოლისაგან შესდგება. ოცდაექვსი ოპერაცია სჭირდება კაბის შეკერვას. ყოველი მომდევნო ოპერაცია წინას გაგრძელებაა. ჯაჭვის ერთი რგოლიც რომ შეფერხდეს, მთელი ბრიგადის შრომა შეფერხდება. ჩაიშლება გეგმა. აქ ერთმა თავზე წისქვილის ქვაც რომ მოიბრუნოს, ვერაფერს გახდება, თუ მთელმა ბრიგადამ არ აუბა მხარი. „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის" — ამ დევიზით შრომობს ბრიგადა. აქ ჭირიც ერთი აქვთ და ლხინიც — აზრიცა და ჩანაფიქრიც. შრომის რიტმიც ერთი აქვთ და ხშირად სჭირდებათ ერთმანეთის ხელის წაშველება. ამიტომ ცდილობენ თავის საქმის გარდა სხვისიც შეისწავლონ, რომ საჭიროების დროს ხელი შეაშველონ ერთმანეთს. ამიტომ ეუფლება რუიზანი რამდენიმე ოპერაციას. კერავს სწრაფად, უზადოდ, ისე რომ წუნს ვერ დასდებთ მის ნახელავს. რუიზანს სხვადასხვა დროს ექვსი მუშის შეცვლა შეუძლია. თუ საქმეს დასჭირდა, თუ საქმე ფაბრიკისა და ბრიგადის სახელს ეხება, ექვსი კაცის საქმეს თვითონ ითავებს, ექვს ოპერაციას შეასრულებს და ბრიგადას მუშახელის სიმცირეს არ აგრძნობინებს. რუიზანს ისიც შეუძლია, რომ ყველა ოპერაცია თვითონ შეასრულოს, თავიდან ბოლომდე შეკეროს კაბა. თვითონვე მიუჯდეს სპეციალურ მანქანებს, ღილებითა და ღილ-კილოებით დაამშვენოს ნაკერავი და ფერად-ფერადი მაქმანებით ან ოქრომკედით ამოუქარგოს გულისპირები. რუიზან სოკურაშვილი ფაბრიკაში ქარგვის დიდოსტატადაა ცნობილი. ექვსი წელი ქარგავდა რუიზანი ბავშვების პალტოებს, კაბებს, ყაბალახებს. უქარგავდა გულისპირებს, ბოლოებს, საყელოებს, სამაჯურებს. ქართული ფერებითა და სახეებით ალამაზებდა პატარების ტანსაცმელს და ემაყებოდა, როცა გვერდით მისი ნახელავით დამშვენებული პატარები ჩაურბენდნენ ხოლმე.

ქარგავდა რუიზანი გატაცებით, ფაქიზად ქარგავდა ყველა ბავშვისათვის და თავისი პირმშოსათვისაც. უქარგავდა თეთრეულს, პერანგებს, ქუდებს და არტახებს. არწევდა ჩვილის აკვანს, ტეხდა ღამეებს და ქარგავდა...

ორი შვილის დედაა რუიზანი. შვილები თითქმის წამოეწივნენ და გაუტოლდნენ კიდეც. თვითონ კი ისევ ახალგაზრდა და ყმაწვილქალურია, ერთი იმათგანია, ვისაც წლები ადვილად ვერ გასტეხს და ნირს ვერ შეუცვლის, თუმცა წლები რა მოსატანია! რა ვუყოთ, რომ ოცდაერთი წელი გაისტუმრა ფაბრიკაში და ერთი ადამიანის ვალი უკვე მოიხადა ქვეყნის სამსახურში. ის ჯერ მხოლოდ 35 წლისაა, ჯერ ბევრი აქვს საოცნებო და გასაკეთებელი. ახლა წიგნებს ჩაჰკირკიტებს და უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს. ასეა, რადგან მომავალი ეძახის. რუიზანი მის მეგზურობას აპირებს და ცხოვრების თავიდან დაწყებას ფიქრობს.

მარიკა გვიმრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თინათინ მრევლიშვილი



* * *

1908 წელი.

კიევში, ქართულ ოჯახში დაიბადა ქალიშვილი. მამა — ქართველი ექიმი — კოტე მრევლიშვილი, დედა — პოლონელი მარია იანოშკევიჩი — სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი.

პატარა ოთახში თაროზე აწყვია ქირურგიის სახელმძღვანელო, მიცკევიჩის ტომები და „ვეფხისტყაოსანი".

დედა ფურცლავს ქართულ წიგნს და თავის ქალიშვილს გონიერი და ულამაზესი ასულის სახელს არქმევს.

* * *

კოტე მრევლიშვილი რევოლუციონერი იყო. ბევრი ახეტიალა ცხოვრებამ. სამშობლოში მამისეული კერია ეგულებოდა. როგორც იქნა, თბილისში ჩამოაღწია და დაფუძნდა. ერთადერთი ქალიშვილი ქართულ სკოლაში მიაბარა. ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის დირექტორს ბავშვობიდანვე დაამახსოვრდა მაღალი, სუსტი, ჭკვიანთვალება გოგონა, რომელიც დამოუკიდებელი აზროვნების უნარით გამოირჩეოდა.

თინათინმა სწავლა სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო.

ქართული უნივერსიტეტი არსებობის ათ წელს ითვლიდა მაშინ. იბადებოდა ეროვნული მეცნიერება. თინათინს წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა ივ. ჯავახიშვილის, დ. უზნაძის, კ. კეკელიძის ლექციები.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი ახლადშექმნილ ფონეტიკის ლაბორატორიაში დატოვეს გიორგი ახვლედიანის ასისტენტად.

იმ დღიდან დაიწყო ენათმეცნიერი ქალის მეცნიერული ბიოგრაფია.

1942 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ლერმონტოვის ლექსიკა": ორი წლის შემდეგ დოცენტობა მიენიჭა.

1963 წელს მოსკოვში, პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე, თინათინ მრევლიშვილის სადოქტორო დისერტაციას — „გოგოლის ნაწარმოებთა სინტაქსური სტრუქტურა" — აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა სტილისტიკის სფეროში მეცნიერული გამოკვლევის ეტალონი უწოდა.

იმავე წელს სახელოვანი ქალის მაგიდაზე გაჩნდა პროფესორის ატესტატი. თინათინი 60 შრომის ავტორია. ეს ნაშრომები დაბეჭდილი და გამოქვეყნებულია.

* * *

მედალი მამაცობისათვის, უამრავი სიგელი, საზოგადოებრივი ტიტული და წოდება.

წლების განმავლობაში ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო. 1963 წლიდან რუსული ენის კათედრის გამგეა.

იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის საშუალო სკოლების მასწავლებელთა კულტურის უნივერსიტეტის რექტორი.

თინათინი საზოგადოება „ცოდნის" პრეზიდიუმის წევრი და ჩეხოსლოვაკია-საქართველოს კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა.

* * *

ზარი დაირეკა.

მიყუჩდა ფართო დერეფანი. მაღალი ქალი აუდიტორიაში შემოვიდა, სათვალე გაიკეთა და რიგებს გადახედა. მერე ცარცი აიღო და დაფაზე წინადადება დაწერა. სამოცი სტუდენტი, ხვალინდელი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ყურადღებით ისმენს ლექციას რუსულ ენაში.

სად არ არიან თინათინ მრევლიშვილის მოწაფეები. ყველა კუთხის მისამართი აწერია მასწავლებლის სახელზე გამოგზავნილ ბარათებს.

უნივერსიტეტში მოღვაწეობენ თინათინის პირველი მოწაფეები, ამჟამად პროფესორები: თამარ ბელინსკაია, ლიდია ხატიაშვილი, ნიკოლოზ კოლესნიკოვი, გიორგი წიბახაშვილი.

უნივერსიტეტში ასპირანტთა და მეცნიერთა თაობებს ზრდის ახლაც თინათინ მრევლიშვილი.

შინ კი...

ქალიშვილებმა — მზიამ და როდამმა — საშუალო სკოლა მედალზე დაამთავრეს. ორივემ დედის პროფესია აირჩია. მზია მეცნიერებათა კანდიდატია და ლექსიკოლოგიის განხრით მუშაობს, როდამი ენათმეცნიერების კურსს კითხულობს უნივერსიტეტში.

მზია ორი ბიჭის დედაა, ნიკა თოთხმეტი წლისაა, ლაშა — ორის.

* * *

თავისუფალი დრო?

თინათინმა გაიღიმა: თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მრჩება და იმასაც ლაშასთან ვატარებ.

და, მაინც.

თავისუფალ დროს უყვარს აკაკის კითხვა, კლასიკური მუსიკა, ყვავილები, რომლითაც სავსეა მისი ბინა.

ადამიანის ცხოვრება ერთი მთლიანი წიგნია, რომელიც ყოველ წუთს, ყოველ საათს, ყოველდღე იწერება და ივსება.

თინათინ მრევლიშვილის ცხოვრების წიგნის ფურცელ-ფურცელ წაკითხვა ძნელი საქმეა.

ჩვენ მაინც მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით ჩავხედეთ ამ წიგნს, ქალბატონო თინათინ!

თინა ჩხაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სისადავე სილამაზისა

ნატო ვაჩნაძე... ყველა ქართველისათვის ახლობელი, მშობლიური და საამაყო სახელი. ნატო ვაჩნაძე... „შენ სილამაზის ვარსკვლავი იყავ, და ვარსკვლავივით ცაში დაიწვიო“, — თქვა ერთმა პოეტმა მისი დაღუპვის დღეებში. ნატო ვაჩნაძე — ჩვენი ნუნუ, ესმა, გიული, ნათელა...

ჩვენი კინოს პირველი, მაგრამ მშვენიერი ნაბიჯები... ნატო ვაჩნაძე — სულმნათი აკაკის ტკბილი გამზრდელი... ქაჯანას დედა.

ნატო ვაჩნაძე — მეუღლე, დედა, შესანიშნავი მეგობარი. რა გასაკვირველია, რომ მეგობრები მას მრავლად ჰყავდა. მაგრამ აღარც ისაა გასაკვირველი, რომ უბრალო, მოკლევადიანი თუ საქმიანი შეხვედრებისას, იგი ადამიანის გულსა და ხსოვნაში წარუშლელ კვალს სტოვებდა. სტოვებდა კეთილშობილ მოგონებას. დღეს ორი ასეთი მოგონება უნდა გაგაცნოთ. ისინი სხვადასხვა დროს მოიტანა ორმა ადამიანმა. ამ შესანიშნავ ქალზე ბევრი რამ დაწერილა, კიდევ დაიწერება. ვფიქრობთ, არც ეს მოგონებები იქნება ინტერესს მოკლებული ჩვენი მკითხველისათვის.

მე, როგორც მკურნალს, სტომატოლოგს, წილად მხვდა ბედნიერება — გამეცნო ქართული კინოს სიამაყე ნატო ვაჩნაძე. იმ ხანებში აღარც თუ ისე ახალგაზრდა იყო, მაგრამ სილამაზის შუქი კვლავ უხვად დაჰნათოდა. საუკეთესო პაციენტი გამოდგა, მომთმენი, მშვიდი.

მკურნალობის დროს ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით და მის მსჯელობაში ყოველთვის მაღალი კულტურა და თავდაჭერილობა გამოსჭვიოდა. საუბარს აძლევდა სერიოზულ, საქმიან ტონს, მაღალფარდოვნება ან ამპარტავნობა არასოდეს შემინიშნავს და, რაც მთავარია, ყველას მიმართ ერთნაირად ყურადღებიანი და თავაზიანი იყო. კაბინეტში ხშირად შემოდიოდნენ ჩვენი პოლიკლინიკის ექიმები, რათა ორიოდე სიტყვით მაინც გამოლაპარაკებოდნენ მას. და ნატო თავაზიანად უხდიდა მადლობას ყურადღებისათვის. არ მახსოვს, რომ ერთხელ მაინც დავეჩქარებინე, ან პრეტენზია განეცხადებინოს. ჩვეულებრივი: „რეპეტიციაზე მეჩქარება“ ან „ველარ მოვიცდი“ ესეც არ გამიგონია მისგან.

და აი, მე მქონდა საშუალება მესაუბრა ამ გამოჩენილ ქალთან ხელოვნებაზე, მწერლობაზე. ყოველთვის მაკვირვებდა მისი საფუძვლიანი ცოდნა. როცა მისი წიგნი — „მოგონებები და შეხვედრები“ წავიკითხე, დავრწმუნდი, ცოდნასთან ერთად, რა დიდი გემოვნების პატრონი ყოფილა თურმე. შესანიშნავად დაწერილი წიგნია.

მახსოვს, ვკითხე — საქართველოში, თქვენი დროის საუკეთესო კინომსახიობად ვის თვლით-მეთქი? მან გულთბილად მოიხსენია და კარგი შეფასება მისცა სპარტაკ ბაღაშვილს, როგორც ნიჭიერს, ყოველმხრივ განათლებულსა და პერსპექტიულ მსახიობს.

ერთხელ, როდესაც საუბარი პირადად მას ეხებოდა, შევუთამამდი და ჩემი აზრი ვუთხარი — მუნჯ კინოში თქვენ შეუდარებელი ბრძანდებით, და დღეს, როდესაც ასეთი დიდი გამოცდილება გაქვთ, დაუფლებული ხართ კინოს საიდუმლოებას, — ხმოვან კინოში, ჩემი აზრით, მეტყველება ცოტა გღალატობთ-მეთქი. ვურჩიე, ამაზე გაემახვილებინა ყურადღება. მიპასუხა: ეს მეც შევნიშნე, არა მარტო კინოში, თეატრის სცენაზეცო. მაგრამ ახლა, ჩემს ასაკში დაგვიანებული ხომ არ არის ამაზე ზრუნვაო? საქმე გავუადვილე, მაგალითებიც მოვიყვანე და ვუთხარი, თქვენ მოვალე ხართ შემდეგშიც უფრო მეტი სიძლიერით ანათებდეთ-მეთქი. გაიცინა, შექებისა და რჩევისთვის მადლობა გადამიხადა. აი, როგორი თავმდაბალი იყო იგი!

მე შევამჩნიე, რომ მისთვის პირადი კეთილდღეობა მეორეხარისხოვანი რამ იყო. ყოველთვის ოჯახზე, შვილებზე ზრუნავდა, ფიქრობდა. ჩაცმული იყო სადად, მაგრამ მაინც ყველასგან გამოირჩეოდა. უკანასკნელად, მის ტრაგიკულ დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე, ერთხელ კიდევ მოვიდა ჩვენთან, ბინაზე. პატარა, ჩალის ლამაზყვავილებიანი ჩანთა ეკავა, ორიგინალურად შეკერილი კაბა მეტად შვენოდა. მოვიდა საკუთარი მანქანით, რომელსაც თავად მართავდა.

ხშირად მიფიქრია, რაში მდგომარეობდა ამ სადა, თავმდაბალი ქალის თვალისმომჭრელი მშვენება?

ჩვენი ცნობილი მხატვრები ხომ ლამაზებს ტილოზე ხშირად დიდი, ირიბად გაჭრილი შავი თვალებითა და ზევით შოლტივით გადაჭიმული წარბებით წარმოგვიდგენენ ხოლმე. პოეტებიც დიდ, შავ თვალებს უმღერიან უმეტესად.

ნატოს? მას არც მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა, არც შუბლზე გაფრენილი წარბები, მაგრამ მზეთუნახავის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ყველა მხატვრის ლამაზმანს ჩრდილავდა. მაშ რა იყო არსი ამ მშვენებისა?

მის თვალებს თუ დააკვირდებოდით, მზიან ამინდში მოლივლივე ზღვა მოგაგონდებოდათ. არც წარბები ქონდა გადაჭიმულ-გადმოჭიმული, მაგრამ სახესთან მთლიანობაში ლამაზ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სახის კანი თეთრი არ ჰქონდა, ვერც შავს დაარქმევდით, ხორბლისფერი იყო, მარი-

ლიანი, თანაც რა პროპორციული ნაკვთები ჰქონდა სახისა, უნაკლო. და, რაც მთავარია, ეს სილამაზე ადამიანთა პატივისცემასა და მორიდებას იწვევდა. თავმდაბლობა ხომ ერთიათად ამშვენებდა.

ერთხელ კიდევ შევხვდი მას! შევხვდი მისი დაღუპვის შემდეგ, სამხატვრო გალერეაში, სახალხო მხატვრის — ქეთევან მაღალაშვილის მიერ გამოფენილ ტილოზე. ეს იყო მადლიანი ხელით გაცოცხლებული ნატო ვაჩნაძე. მისი თვალებიდან უძირო, კამკამა ზღვა ციმციმებდა. და კიდევ ერთხელ შევიცანი კალოზე დახვავებული ხორბლის ფერის სილამაზე. აი, სწორედ მაშინ ვიწამე მხატვრის მიერ შექმნილი ფერთა სასწაული.

გიორგი მარკოზაშვილი

# „ბეზარაანთ წყარო"

„ბეზარაანთ წყარო, ყინულს შესადარო,
კოკით შენსკენ მოიჩქარის ბეზარაანთ დარო,
მოწყურებულს წყურვილს უკლავ,
რა სიცოცხლე ხარო!"

სად არის ბეზარაანთ წყარო? და რატომ უყვარს იგი ასე ხალხს? რატომ მახსენდება ამ წყაროსთან ერთად ჩვენი მშვენიერი ნატო?

გურჯაანში ხომ ყოფილხართ. მაშ, ძველი გურჯაანისკენაც გაიარეთ, ხევისუბნის თავში, ბეზარაშვილების უბანში. გზისპირად აუცილებლად შემოგხვდებათ და გულს გაგიგრილებთ ბეზარაანთ ცივი წყარო, მშვენიერი, კამკამა. ხალხმაც ამიტომ შეიყვარა, შეაქო. კიდევ რატომ უყვართ ბეზარაანთ წყარო ასე განსაკუთრებულად? იქვე ახლოს, ერთი აივნიანი სახლი დგას, ბედნიერი სახლი. აქ ხომ საქვეყნოდ ცნობილი კინოვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე აღიზარდა! როგორ უყვარდა ეს მიდამო, ეს უბანი, ეს წყარო! ყოველდღე ჩამოურბენდა, სახეზე შეისხურებდა, იწუწავებდა ტოლ-ამხანაგებთან, მერე აუზის განიერ კედელზე ავიდოდნენ, ხელებს გაშლიდნენ და ხმამაღლა დაამღერებდნენ წყაროს საქებარს.

პირველად რომ ვნახე, თოთხმეტიოდე წლის გოგონა იყო. თბილისიდან ახლად ჩამოსულიყო და წყაროდან ასძახეს მეგობრებმა, აქ ჩამოდიო. აივანზე გადმოდგა. მაინც რა იყო ის დალოცვილი! ეშხით სავსე, პირმცინარი, თვალციმციმა...

წყაროსთან ხშირად იკრიბებოდა შეღერებული ახალგაზრდობა. წყალს შესვამდნენ, თვალი კი იმ აივნისკენ გაურბოდათ. მახსოვს, ერთხელ, რელიგიური დღესასწაული — ივანემახარობლობა იდგა. საღამოჟამს ზევიდან ჩამოიარეს დოლ-გარმონის დაკვრით ახალგაზრდა ვაჟკაცებმა. იმათაც წყაროსთან დაისვენეს, ხელპირი დაიბანეს, და აივნიან სახლს გახედეს. ნატო აივანზე არ ჩანდა. მაინც დაუკრეს დოლი და გარმონი. ფეხზე წამოდგნენ და ისე დაამღერეს:

ვეძებდი და ვერ ვნახე მშვენიერი ნატა,
ბეზარაანთ წყაროსთან, გულში
ჩამეხატა.

მე იმ ქალის ნახვამ სევდა მომიმატა,
ვინ არის ეს ქალი? ვაჩნაძიანთ ნატა.

მერე ჩვენებური ლხინი — ცეკვა-თამაში გამართეს. მაშინ ჩვენი ნატა უკვე გათხოვილი იყო. ქმარ-შვილით ამოვიდა გურჯაანში და კიდევ ერთხელ დაირბინა საყვარელი უბანი, მერე წავიდა და საქვეყნოდ გაიტანა ქართველი ქალის ეშხი. როგორ ამაყობდა მისით მშობლიური გურჯაანი, მეზობლები, მეგობრები. შემდეგაც ჩამოდიოდა, მაგრამ, აღარც თუ ისე ხშირად. სადღა ეცალა. ასე მეგონა, ბეზარაანთ წყაროც დასევდიანდა-მეთქი.

უკანასკნელად? უკანასკნელად კიდევ ამ წყაროსთან ვნახე. ხელჩანთა გახსნა და პატარა ფინჯანი ამოიღო. შესვა გრილი წყალი... ატირდა. რატომ ატირდა? გულმა ხომ არ უგრძნო? არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ სწორედ აქეთ მორბოდნენ გურჯაანელნი, ატირებულნი, გულდადაღულნი. იმ ცრემლებში, რითაც ჩვენმა ხალხმა დაიტირა მისი დაღუპული მშვენება, გურჯაანელთა, ბეზარაანთუბნელთა ცრემლიც კამკამებდა წყაროსთვალივით.

მარიამ ომსარაშვილი



კადრი კინოფილმიდან — „სამი სიცოცხლე".
ცნმა — ნატო ვაჩნაძე, ხახვა ფულავა — მიხეილ გელოვანი (მარცხნივ).



# ჩვენი ნინო

1946 წლის 11 ნოემბერს, დიდი მსახიობის — ვასო აბაშიძის გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო რადიოგადაცემა. წერილის ავტორი ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ქალი — ნინო შვანგირაძე გახლდათ. „მშვენიერი ქართულია“... წააწერა გადაცემისათვის გამზადებულ ტექსტს რადიოკომიტეტის მაშინდელმა რედაქტორმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ილია ზურაბიშვილმა. ხოლო მეორე დღეს პროფესორი აკაკი ფალავა საქართველოს სათეატრო მუზეუმში მივიდა, გადაცემის ავტორს — მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს ნინო შვანგირაძეს წარმატება მიულოცა და თეატრალურ ინსტიტუტში მუზეუმთმცოდნეობის საათები შესთავაზა. ასე გაიკაფა ნინომ გზა, გზა, რომელმაც დასაწყისი მშობლიური ქუთაისიდან დაიდო (ახლაც კარგად ახსოვს ნინო შვანგირაძეს, როგორ მიიღო მონაწილეობა პირველ საბჭოთა ქართულ საბავშვო ოპერაში; ეს იყო შალვა თაქთაქიშვილის საბავშვო ოპერა „პირველი მაისი“, რომლის დადგმა დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა. მაისის როლი ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლემ — ნინო შვანგირაძემ განასახიერა.

შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, სადაც ქალიშვილი ცნობილ მეცნიერებს — შალვა ნუცუბიძეს, კორნელი კეკელიძეს, შალვა ამირანაშვილს, სიმონ ყაუხჩიშვილსა და დიმიტრი ჯანელიძეს უსმენდა. სათეატრო მუზეუმში, სადაც ნინო შვანგირაძე მუშაობდა, ხშირად დადიოდნენ თეატრისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ იქ ხვდებოდათ საქმიანი, გულისხმიერი, ხალისიანი თანამშრომელი.

ვის არ შეხვდებოდით მუზეუმში! ყველას, ვისაც თეატრი აღელვებდა, ყველას, ვისაც კალამი უჭერიდა. ერთხელ, მაგიდაზე დაწყობილ ჟურნალებზე იოსებ გრიშაშვილმა ასეთი ბარათი დაუტოვა:

ნინო!

„ვერ დავამთავრე მე ეს ჟურნალი,
გადავმინახე მანდ ახლო-მახლოს.
ოჰ, ნეტავ ვიყო შენი მკურნალი,
დაგკოცნო ისე, ხელი არ გახლო.“

მუზეუმთმცოდნეობის გარდა, ნ. შვანგირაძე თეატრალურ ინსტიტუტში კითხულობდა ანტიკური თეატრის, შუა საუკუნეებისა და აღმოსავლეთის თეატრის ისტორიას. პარალელურად ლექციებს კითხულობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში, სამხატვრო აკადემიაში, დეკორატიულ ფაკულტეტზე. მალე იგი თეატრალურ ინსტიტუტში ინიშნება თეატრმცოდნეობის კაბინეტის გამგედ, შემდეგ — რუსთაველის თეატრის მუზეუმის გამგედ. წლების მანძილზე თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრიც იყო.

მაგონდება თეატრალური ინსტიტუტი: კიბეებზე დინჯად ამოდის ლამაზი, წარმოსადეგი ქალი, ფაქიზად და გემოვნებით აცვია. სტუდენტები მხიარულად, ახლობლებივით ვეგებებით. ის კეთილად იღიმება, გაწყრომაც იცის, მაგრამ საკმარისია ერთი ალერსიანი სიტყვა, და მის სახეზე ფიფქივით დნება წყრომა. მომთხოვნია, მაგრამ თანაგრძნობის გაწევაც იცის. ჩვენი ნინო, ასე ვეძახდით სტუდენტები, ჩვენი ნინო — ახლაც ასე იხმის თეატრალურ საზოგადოებაში, სადაც იგი ამჟამად სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების გამგედ მუშაობს!

...მღელვარებით შევაღე მისი ოჯახის კარი. იქ ხომ ორი ახლობელი ადამიანი მეგულებოდა! ზარის წკრიალს მამაკაცის ნაცნობი ხმა გამოეხმაურა. ეს იყო ნინოს მეუღლე, ჩემი ლექტორი, ენათმეცნიერი — პროფესორი სოსო მეგრელიძე. ნინო დერეფანში შემომეგება. ოჯახურ მყუდროებას მეტ სითბოს და სიხარულს მატებდა 14 წლის გუბაზი, მათი ვაჟიშვილი. მე უნდა ამეღო მასალა წერილისათვის: „25 წელი ქართული ხელოვნების სამსახურში“. იატაკიდან ჭერამდე ასულ თაროებზე, პაკეტებში ფაქიზად ეწყო წლების თანმიმდევრობით დალაგებული ჩემი მასპინძლის პირადი არქივი. ჩემს თვალწინ ეწყო მის მიერ განვლილი შინაარსიანი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფურცლები: ისინი მომითხრობდნენ ნინოს ღვაწლზე, მის მონაწილეობაზე დისპუტებში, საღამოებში, სპექტაკლების დათვალიერება-კონკურსებში, სადაც მრავალჯერ იყო ჟიურის წევრი, იმაზე, რომ იყო საბჭოთა კავშირის კულტურული ენციკლოპედიის მეცნიერი კონსულტანტი, მომხსენებელი პლენუმებსა და სამეცნიერო სესიებზე, როგორც ჩვენში ასევე მოძმე რესპუბლიკებში: კიევში, ბაქოში, ერევანში ტალინში. აქ შევხვდი საინტერესო წერილებს:

„ძვირფასო ნინო, ესტონეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობა, გთვლით რა უახლოეს მეგობრად, გთხოვთ ჩამობრძანდეთ და მიიღოთ მონაწილეობა ჩვენი საზოგადოების 25 წლის ზეიმში.

ესტონეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პროფესორი ა. ლაუტერი“.

აქვე შევხვდი ლატვიის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ლიდია ფრეიმანის, უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის ნატალია უჟვის გულთბილ წერილებს, ისინი მთელი გულით თხოვენ ნინოს მონაწილეობა მიიღოს სპექტაკლების დათვალიერებაში, ანალიზი გაუკეთოს და იქაური შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობა შეაფასოს.

არქივში დაცული მასალები მოგვითხრობენ, რომ ნინოს პირველი საჯარო გამოსვლა მოხდა 1947 წელს ვალერიან გუნიას ხსოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისადმი მიძღვნილ საღამოზე. ამავე წლის 21 ივნისს დაიბეჭდა მისი პირველი წერილი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“; წერილი დიდი კოტე მარჯანიშვილისადმი იყო მიძღვნილი.

არქივში გავეცანი პროფესორ აკ. ფაღავას წერილს, რომელიც ნინოს ერთ-ერთი წიგნის გამოსვლას ეხებოდა.

„დიდად პატივცემულო, ქალბატონო ნინო!

გულითადი მადლობა მშვენიერი ძღვენისათვის, რომელიც დიდი სიამოვნებით ერთი მოსმით წავიკითხე. მშვენივრად არის დაწერილი. განსაკუთრებით მადლობა გეკუთვნით ახმეტელის გაცოცხლებისათვის“.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1965 წ. № 11) ნ. გურაბანიძე სწერს: „თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ შეკრიბა ს. ახმეტელის წერილები და მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სტატიები, თუ ცალკეული საინტერესო მოსაზრებანი, რითაც გაკეთდა კარგი და სასარგებლო საქმე.“

„ღრმად პატივცემულო ნინა იასონის ასულო. იმასთან დაკავშირებით, რომ დასრულდა უკრაინის საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემისათვის სამეცნიერო შემზადება, მთავარი რედაქცია ღრმა მადლობას მოგახსენებთ თქვენი ნაყოფიერი მონაწილეობისათვის უკრაინელი ხალხის პირველი მრავალტომიანი ენციკლოპედიის შექმნაში. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.“

მიკოლა ბაჟანის თხოვნით, ამ რედაქციისათვის ნინო შვანგირაძემ დაწერა სტატია, რომელიც ეხებოდა უკრაინელი და ქართული სცენის მოღვაწეების შემოქმედებით ურთიერთობას. ამის გამო ნინომ მიიღო დიდი უკრაინელი პოეტის მადლობა და ენციკლოპედიის სამკერდე ნიშანი.

„თვითეული მისი შრომა ხასიათდება წერის მაღალი კულტურით, გემოვნებით, მიმზიდველობით, ობიექტურობით. იგი არასოდეს არ აკლდება არც ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღონისძიებას, აღელვებს ყოველი ახალი სპექტაკლის ბედი. აქტიურად მონაწილეობს დისპუტებზე, საღამოებზე, შეხვედრებსა და განხილვებზე. მიემგზავრება პერიფერიებში და თავის გულისხმიერ და საქმიან დახმარებას არავის ამადლის“ (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1966 წელი, № 3).

ნათქვამია, ქუხილით წვიმა არ მოვა და ხმის დაგდებით ლაშქარიო. სიტყვა სხვა არის, არქივში დაცული ზღვა მასალა, წიგნები: „სანკულტურის თეატრი“, „სანდრო ახმეტელი“, „აკაკი ხორავას საიუბილეო კრებული“, „თეატრალური ეტიუდები“ და სხვა უამრავი წერილები, რომელიც მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. ადასტურებს იმ მადლმოსილ შრომას. 25 წლის მანძილზე რომ გასწია ჩვენმა ნინომ, და დამსახურებულად მიიღო უამრავ ჯილდოებთან ერთად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

**ნუნუ მესხი**

ირინე უშვერიძე

ინათა. ფერი გაუკრთა მთვარეს,
ნისლში ცურავენ მწვანე ქედები.
ისე ბრჭყვიალებს ბალახზე ცვარი,
რომ ის მზისათვის არ მემეტება.

ზეცა შეაკრთო ჩიგის ჟივილმა,
ცისკრის ვარსკვლავი გაქრება მალე.
პატარა ბიჭი გადენის ნახირს
და თვალს გაახელს ლამაზი დილა.

* * *

შენი მტკვრის ნელი დუდუნი,
თუ შმაგი თერგის ღრიალი,
აბორგებული ენგური
და შორს სათავე ფაზისის...
ტკბილ იავნანას გიმღერენ,
მამულო, უძვირფასესო.

გიორგი გიგაური

* * *

დედა,
შენ შუქი მოსტაცე მთვარეს
და დაიმშვენე რაღაც განგებით,
გიკაკუნებენ ოთახის კარებს
საღამოსა თუ დილის ჰანგები.

დედა,
შენ იქეც უკვდავ სიმღერად,
მხრები გასწია შენმა გზაწვრილმა,
დადიხარ, დაგაქვს სითბო იმხელა,
რომ ყველას გულმა გაინაწილა.

დიდი სიცოცხლის გახსენი კარი,
მამულის მზესთან დგახარ მუხლებით...
და დარჩა ჩემზე დედური ვალი
განუსაზღვრელი, გადაუხდელი.

ეთერ ჯიშკარიანი

* * *

გზა გასავლელი ისე დიდია,
მიწაზე დგახარ — ცა სარკმელს გიღებს,
ცხოვრება ისე ვრცელი წიგნია
ყოველდღიურად დაათარიღებ.
ჰოდა, ამ ქვეყნად რაკი მოხვედი,
გზა ცხოვრებისა დაასურათე;
არ უნდა შეგრცხვეს უკან მიხედვის
დასაწყისიდან დასასრულამდე...
შენც ხომ ეს გსურდა, რომ შენს
აღზრდილებს
ანთებულ გულით ამაყად გვევლო,
მთებზე ასვლაც რომ გავიადვილეთ,
ეს შენით არის, მასწავლებელო.

ვერ გიხვდებოდით სიმკაცრის მიზანს,
ამ მოგონებას სხვა სითბო ახლავს;
ჟურნალში მაშინ ჩაწერილ ნიშანს
ცხოვრების გზაზე ვკითხულობთ ახლა.

* * *

დაგედევნაო, დაგედევნაო,
გამოცილდაო იფნებს და წნორებს,
იქნებ სწორია, იქნებ ჭორია,
დაე, ეს ბედი მართლაც მწვეოდეს;
დამდევდე ყველა გზა და ბილიკზე,
დამდევდე, მაგრამ ვერ მეწეოდე...

მარინე მაჭარაშვილი

* * *

მე მხოლოდ ერთი ტირილი მიყვარს,
რომელსაც ვაზის ტირილი ჰქვია;
მე მხოლოდ ერთი ცრემლები მიყვარს,
რომელსაც ზეცის ცრემლები ჰქვია;
მე მხოლოდ ერთი ტკივილი მიყვარს,
რომელსაც შვილის გაჩენა ჰქვია;
მე მხოლოდ ერთი სიკვდილი მიყვარს,
რომელსაც ყანის აღება ჰქვია.

# პატარებისათვის

მედეა ონოფრიშვილი

## ნუცას სკოლაში

კურდღელმა ყური ასწია:
გამიძახეო დაფასთან.
იმისი სიტყვა-პასუხი
სულ ხუთიანზე შეფასდა.

ცუგამ: ამ-ამო, მომხედე,
მეც შემაფასე, ნუცაო,
ერთგული ვარ და გიგონებ,
აღარ დამიწერ ხუთსაო?

ფისო აკნავლდა, კრუტუნა,
მაღლა ასწია კუდიო:
თაგვს ვიჭერ, ზარმაცი არ ვარ,
მეც დამიწერე ხუთიო.

— ხუთებს დაგიწერთ სამივეს,
ხუთი მეკუთვნის მეცაო,
რადგან სამივე მიყვარხართ,
შენცა, შენცა და შენცაო.

## თბილისელი ბაჭია

თბილისში გაჩნდა. არ იცის
რაა ტყე-ველი, მთა-ბარი.
ერთ მოფიცრულში ცხოვრობდნენ,
იქ გაატარეს ზამთარი.

ჯერ დედას ჩამოაშორეს,
მერე და-ძმამაც დატოვა.
წითელთვალება ბაჭია
ატირდა — მარტო რატომ ვარ?

თვალცრემლიანი ბაჭია
ზაზამ ჩაიკრა გულშია.
თან წაიყვანა სოფელში,
მინდვრად გაუშვა, ხნულშია.

იფიქრა, არ მიმატოვებს,
რომ მიყვარს, მიმიხვდებაო,
უთუოდ მომინახულებს
როგორც კი შეღამდებაო.

მაგრამ, ვაი რომ უმტყუნა —
აღარ დაბრუნდა სახლშია;
ქალაქს გაზრდილმა ბაჭიამ
ისევ ტყისაკენ გასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთევან ჭილაშვილი

ქეთევან ჭილაშვილი ჩვენი ბავშვებისათვის საკმაოდ ცნობილი მწერალია, იგი რამდენიმე წიგნის ავტორია. მწერლის თითოეული მოთხრობა დაწერილია ბავშვის ფსიქოლოგიის, მისი გემოვნების, ფანტაზიისა და უნარის გათვალისწინებით, მისი მიამიტური, ბავშვური ბუნების ცოდნით და ეს ყველაფერი მწერალს სიმართლითა აქვს გამოძერწილი. ამ სიმართლეში კი დიდად დაეხმარა მისი თავდაპირველი პროფესია — პედაგოგობა. მარტყოფის სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი მთელი შეგნებით ასწავლიდა ბავშვებს მშობლიურ ლიტერატურას, მუსიკას, ეცნობოდა ხალხს, იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს...

ქეთევან ჭილაშვილის შემოქმედების ღირსება ის არის, რომ იგი კი არ ეძებს თემას, ბავშვებს, არამედ, თითქოს თავისთავად მირბიან ბავშვები მასთან, როგორც მოსიყვარულე მეგობართან, მირბიან მეტად კეთილი, გამრჯე და თავაზიანი გოგონები და ბიჭუნები. მათ საქციელს მწერალი თავგამოდებითა და გაზვიადებულად როდი აქებს: მწერალს ურჩევნია თვითონ ბავშვმა დაინახოს მეგობრის, ამხანაგის, ძმისა თუ დის კარგი თვისებებიც, უწესო ქცევაც, ესა თუ ის მავნე ჩვევები, და თვითონ ბავშვმა მიახვედროს და გამოასწორებინოს, და არა მწერლის „ჩიჩინით“ ისარგებლოს.

ქ. ჭილაშვილის პირველი მოთხრობა: „დაძმა“ 1951 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „დილაში“. ამ წლიდან დღემდე იგი ენერგიულად და მონდომებით წერს მოთხრობებს, ზღაპრებს, პიესებს. ეს მოთხრობები და ზღაპრები ითარგმნება რუსი და აზერბაიჯანელი პატარა მკითხველისათვის. მწერალს საკმაო საზოგადოებრივი დატვირთვაც აქვს — იგი მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის მდივანია და ამავე დროს ჟურნალ „პიონერის“ ლიტერატურული თანამშრომელიც.

სიყვარულისა და სიქველის ჩანერგვა ბავშვებში, აი ის ძირითადი მიზანდასახულება, ქეთევან ჭილაშვილის შემოქმედებას რომ გასდევს თითქმის პირველივე მოთხრობებიდან. რომელი ერთი გავიხსენოთ: ნოდარი, დარეჯანი, ვახტანგი, თინა...

მწერალ ქალს ჭირვეულებიც შეხვედრია და ავზნიანებიც. ერთი ასეთთაგანია პატარა მაგდა, ჭირვეული და მტირალა გოგონა. ალიაქოთს სტეხს, როცა დედა სამსახურში მიდის.

მაგდა და მისი მეზობელი პატარა ლია ხშირად ერთად თამაშობდნენ. ერთხელ დედა-შვილობანას თამაში გადაწყვიტეს. ლია „შვილია“, მაგდა — „დედა“. ლია ისევე ჭირვეულობს და ტირის, როგორც მაგდა, როცა დედას გაეტირება ხოლმე. მაგდა კი ბრაზდება — თამაშის დროს ტირილი არ შეიძლებოდა. ლია ხომ მართლა არა ტიროდა, იგი მაგდას ბაძავდა. ეს იყო და ეს, მაგდა დედას აღარ გატირებია იმ დილის შემდეგ. ეს „მორჯულება“ ისე შემპარავად, ისე ბუნებრივად არის დახატული, რომ მაგდას მსგავსი ბავშვი შეიძლება ჩააფიქროს.

აღარას ვიტყვით რაოდენ კარგად იცის ქ. ჭილაშვილმა წერა ბუნების მოვლენებზე, შრომაზე, ფრინველებზე, ცხოველებზე. წერს ახლებურად, თავისებურად.

თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ქ. ჭილაშვილმა მთელი ტიპები შექმნა სკოლამდელი გოგონებისა და ბიჭუნებისა, წიგნებში: „პატარა მეგობრებს“, „შეხეთ ლიას ეშმაკობას“, „ნაკადულები მიიმღერიან“, „აფრინდა, აფრინდა“ სხვა.

გვერდს ვერ ავუვლით ქ. ჭილაშვილის პიესას: „ეკიპაჟი კისკისა“. ეს პიესა იმდენად საინტერესო გამოდგა ჩვენი სკოლებისათვის, რომ ონის მე-2 საშუალო სკოლამ მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების მე-5 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ჩამოიტანა და მოწონებაც დაიმსახურა.

პიესა მეტად ცოცხლად არის დაწერილი, სავსეა ჰუმორით, ენამახვილობით.

ქეთევან ჭილაშვილი ამავე დროს მთარგმნელობასაც მისდევს. აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი „ლენინი და ბავშვები“ — ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა.

წელს მწერალი ქალი 50 წლისა შესრულდა. ვფიქრობთ, მისი გამოცდილება უკვე იმდენად დიდია, რომ აუცილებლად უნდა შეძლოს ფართოსიუჟეტიან მოთხრობაზე მუშაობა.

ანა ღვინიაშვილი

# კომისარი, მებრძოლი, მეცნიერი.



ქალი კომისარი იშვიათი შემთხვევაა. საქართველოს სინამდვილეში კი ასეთი პიროვნება გვყავს. იგი მარიამ მუშკუდიანი გახლავთ, რომელიც დიდი სამამულო ომის დროს საარტილერიო ბატარეის კომისარი იყო.

ომის დაწყებამდე მარიამმა ფრიადზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი და როგორც წარჩინებული სტუდენტი, მეცნიერული მუშაობისათვის იქვე დატოვეს.

1942 წლის დასაწყისში მარიამი პოლიტხელმძღვანელების კურსების მსმენელი გახდა, და როცა კურსები წარჩინებით დაამთავრა, ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობამ ფრონტის განაპირა განლაგებულ საარტილერიო ბატარეის კომისრად დანიშნა. პოლკის კომისარმა იგი პირადად მიაცილა ცეცხლის წინა ხაზზე და ასე გააცნო ბატარეის მეთაურს ბობროვს:

„ქალი კომისარი იშვიათი შემთხვევაა. გაუფრთხილდით მას, როგორც თვალის ჩინს, იცოდეთ, რომ იგი ქართველია და ქართველებს სულ სხვანაირი ჩვევები აქვთ ქალების დაფასების საქმეში“.

„მადლიერების გრძნობით მინდა მოვიგონო, რომ იქ, სადაც ჩემს მეტი ქართველი ქალი არ იმყოფებოდა, არაჩვეულებრივი ყურადღებითა და პატივისცემით მეპყრობოდნენ კაპიტნები ბობროვი, დენისოვი, დანილოვი და სხვა მეთაურები და მებრძოლები“. — ვკითხულობთ მარიამის მოგონებებში.

ნაწილი, სადაც მარიამი მუშაობდა, 1942 წლის აგვისტოში მოზდოკის მისადგომებთან მტერს პირისპირ შეხვდა. აქ გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში კომისარი ქალი იარაღით ხელში მონაწილეობდა.

„სპეციალობით ბიოლოგმა, ჩემს ცხოვრებაში პირველად გავტენე შაშხანა, ისიც ცოცხალი ადამიანის მოსაკლავად“ — წერს მარიამი.

კომისრის ღრმაშინაარსიანი და გულში ჩამწვდომი საუბრები დიდ გავლენას ახდენდა მებრძოლთა შემადგენლობაზე. მის სიტყვებს იმდენი ძალა ჰქონდა, რომ პოეტმა იოსებ ნონეშვილმა, რომელიც მარიამთან ერთად იბრძოდა, მასზე ამაღელვებელი წერილი დასწერა საფრონტო გაზეთში.

მარიამ მუშკუდიანს მრავალჯერ ჩაუხედნია სიკვდილისათვის თვალებში. მის გვერდით მტრის ტყვიამ სისხლისაგან დასცალა კაპიტანი ბუხაიძე, პოლიტხელი შუბითიძე, ვლადიმერ კანკავა...

...მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო. გამუდმებით წინ მოიწევდა, მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე. ერთი დღის განმავლობაში სამჯერ წამოიწყო შეტევა ჩვენმა ნაწილებმა და სამივეჯერ უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ მუშკუდიანმა სიტყვით მიმართა მებრძოლებს: „მე, ქალი, სამშობლოს სიყვარულმა მომიყვანა აქ, ფრონტზე. დღეს ყველაზე მეტად ესაჭიროება გმირობა ჩვენს ქვეყანას. ვინც ვაჟკაცები ხართ, ახლა გამოჩნდება. არ შევარცხვინოთ სამშობლო, არც ერთი ნაბიჯი უკან!“

ქართველი ქალის მგზნებარე სიტყვებით აღელვებული მებრძოლები ლომებივით ეკვეთნენ მტერს, შეტევა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. თუმცა ამ გამარჯვებამ ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა.

დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილი მუდმივი ყინულითა და თოვლით დაფარული გადასასვლელია, რომლის გადალახვა მთამსვლელებსაც უჭირთ. ამ უღელტეხილის დაძლევას, ბრძოლის დროს, ძალიან დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. სარდლობის ბრძანებით ამ რთული ამოცანის შესრულება 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიას დაევალა, რომლის შემადგენლობაში მარიამ მუშკუდიანის დანაყოფიც იბრძოდა.

თვალმიუწვდომელ უფსკრულებზე გაჭიმული თოკებით ათეულ-ათასობით ადამიანის გადაყვანა ზღაპარივით მოსაყოლია. სასიხარულოა, რომ ქართველი ქალი მთელ დივიზიასთან ერთად უღელტეხილზე წარმატებით გადავიდა.

ამ საბრძოლო ამოცანის ღირსეულად შესრულებას დიდად გამოეხმაურა ფრონტის სარდლობა. ამ გმირობას მიუძღვნეს თავიანთი წერილები ცნობილმა მწერალმა ლევან გოთუამ და ჟურნალისტმა პეტრე შამათავამ. ამ საბრძოლო ამოცანის შესრულებას მოჰყვა შეტევითი ბრძოლები დივიზიის ყოფილი მეთაურის, გენერალ-მაიორ გ. ყუფარაძის ხელმძღვანელობით.

მარიამ მუშკუდიანმა ბრძოლებში ისე გაითქვა სახელი, რომ სარდლობამ იგი დივიზიის პოლიტგანყოფილებაში გადაიყვანა, სადაც ომის დამთავრებამდე ასრულებდა პოლიტმუშაკის უკეთილსინდისოს და უმწიკვლო მოვალეობას.

დღეს მარიამ მუშკუდიანი თადარიგშია და როგორც მეცნიერი მუშაკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს. მის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე სამეცნიერო შრომა.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თადარიგის პოლკოვნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სალომე

იგი ჯუგაანში ცხოვრობს. სიღნაღის ამ ულამაზეს სოფელში მას ყველა იცნობს, როგორც კომუნისტს, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალგზის მონაწილეს, მოწინავე მეაბრეშუმეს, ბამბის უხვი მოსავლის მომყვანს. სალომე ზედელაშვილს იცნობენ რესპუბლიკაშიც. იგი იყო საკოლმეურნეო მშენებლობის აქტიური მონაწილე და ქალთა ორგანიზატორი, „წითელი ბელლისათვის" ხორბლის შემგროვებელ ქალთა ჯგუფის ხელმძღვანელი, მრავალი წლის მანძილზე იყო აგრეთვე სასოფლო საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრი და რაიონული სახალხო სასამართლოს მსაჯული. სალომე ბევრ საზოგადოებრივ დავალებას ასრულებდა. ამიტომაც მას მრავალი ჯილდო და მადლობა აქვს მიღებული.

1926 წელს, სოფელ ჯუგაანში, სალომეს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქალთა სამიწათმოქმედო ამხანაგობა. ამ ჯგუფში პირველად შვიდი ქალი შედიოდა: სალომე ზედელაშვილი, თებრო ზედელაშვილი, თამარ აბულაშვილი, ანა აბულაშვილი, ნადო ზედელაშვილი, ანა კუტიბაშვილი და თამრო ბექანიშვილი. ქალთა ეს ჯგუფი მიწას ჯგუფურად ამუშავებდა და მაღალ მოსავალსაც იღებდა. მალე ჯგუფის წევრთა რიცხვი ცამეტამდე გაიზარდა. მათ მუშაობას ყოველნაირად უწყობდა ხელს სასოფლო საბჭო და რაიონის ხელმძღვანელები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალთა ეს ჯგუფი იყო კოლექტიური მეურნეობის წინამორბედი სოფელში.

როცა სოფელ ჯუგაანში ჩამოყალიბდა პირველი კოლმეურნეობა „ქიზიყი", სალომე თავისი ქალთა ჯგუფით ამ კოლმეურნეობაში შევიდა. მალე კოლმეურნეობის გამგეობის წევრად აირჩიეს, ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოებს, ყველაზე მეტად კი მეაბრეშუმეობას მისდევდა. ყოველწლიურად მეტი და მეტი რაოდენობით იღებდა პარკის მოსავალს.

ამ მიღწევების გამო 1939-1941 წლებში სალომე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო.

სალომე აბრეშუმის ჭიის მოვლისას ყურადღებით ადევნებდა თვალს ჭიის ცხოვრებას, სათანადო დაკვირვებებით ჭიის მოვლის ახალ მეთოდებს იმუშავებდა. ჭიის კვება მან სამ სტადიად დაჰყო: პირველ სტადიაში ჭიას საკვებად აძლევდა დაკეპილ ფოთოლს, მეორე სტადიაში კენწეროდან მოკრეფილ მთელ ფოთლებს უყრიდა, მესამე სტადიაში ფოთოლს კენწეროებიანად უყრიდა; სალომემ ისიც დააზუსტა, რომ ჭიისათვის ყველაზე უკეთესია 22-23 გრადუსი უცვლელი ტემპერატურა. ამისათვის იგი ჭიის სამყოფ ბინაში ყოველ სეზონში თავისი ხელით აშენებდა ფრანკლინის ღუმელს. ამით შეამცირა ჭიის კვების დრო, რამაც საშუალება მისცა პარკის ორი მოსავალი მიეღო წელიწადში.

მაგრამ ჯუგაანელ მეაბრეშუმეებს არ ჰყოფნიდათ ჭიის საკვები. სად არ დაეძებდნენ თუთის ფოთოლს: ალაზნის გაღმა თუ გაღმა, ნათესავების ეზოებში თუ ვენახებში. ხშირად უფრო შორსაც მიდიოდნენ. ეს თუთის ფოთლის დაზიანებასაც იწვევდა. სალომემ პარტიის რაიხული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე ბევრჯერ დააყენა საკითხი თუთის გასაშენებელი ფართობების გამოყოფისათვის, ბოლოს მიაღწია იმას, რომ 1935 წელს ჯუგაანის კოლმეურნეობამ თუთის ხეების გასაშენებლად გამოჰყო 5 ჰექტარი ფართობი. ნარგავების გახარების შემდეგ სალომემ თავის მეუღლეს ქიტესა ზედელაშვილს დაამყნობინა მსხვილფოთლიანი თუთის კვირტები. ახლა იქაურობა უკვე თუთის ტყედაა გადაქცეული და ჯუგაანელი მეაბრეშუმეებიც უზრუნველყოფილი არიან აბრეშუმის ჭიის საუკეთესო საკვებით.

1932 წელს ალაზნის ველზე შეიქმნა მებამბეობის საბჭოთა მეურნეობა. რადგანაც მეურნეობას საკმაო მუშახელი არ ჰყავდა, ფართობი დასამუშავებლად რაიონის სოფლებზე განაწილდა. ჯუგაანი ყველას ჩამორჩა მებამბეობის გეგმის შესრულებაში. ბამბის აღების სამუშაოს ბევრი გაურბოდა. რა უნდა ექნათ? სასოფლო საბჭო და პარტუჯრედი ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი კაცი და ქალი გაეყვანათ სამუშაოზე. სალომეს მეუღლე, აწ განსვენებული ქიტესა ზედელაშვილი, 1921 წლიდან სკკპ წევრი, პარტუჯრედის მდივანი იყო სოფელ ჯუგაანში. იგი მოელაპარაკა თავის მეუღლეს სალომეს, სთხოვა სათავეში ჩასდგომოდა ჯუგაანელ ქალებს. სალომემ იკისრა ძნელი დავალების შესრულება: ჩამოუარა სოფლის ქალებს, აუხსნა პარტიის ამ ღონისძიების მნიშვნელობა, 75 ქალმა მისცა თანხმობა გასულიყვნენ ბამბის ფართობში სამუშაოდ. სალომემ ქალთა ლაშქრობა შესანიშნავად მოაწყო: იშოვა ქალების გადასაყვანად მანქანები, დასვენების საათებში გართობის მოწყობის მიზნით თან წაიღო გარმონი და დაირა, თავისი ხელით გააკეთა წითელი დროშა (ეს დროშა სალომეს ახლაც შენახული აქვს) და დანიშნულ დროს გაემგზავრნენ ბამბის ასაღებად. ქალები არ უშინდებოდნენ სიძნელეებს. ისინი ღამეებს ალაზნის ველზე ათევდნენ, ყოველგვარ გაჭირვებას იტანდნენ, თავდადებით შრომობდნენ და კარგი მოსავალიც მიიღეს.

დიდი სამამულო ომის დროს სალომეს ერთადერთი ვაჟი ილია საზღვაო ფლოტში იბრძოდა. მშობლებს დროდადრო მოსდიოდათ მეთაურთა წერილები შვილის მამაცობის შესახებ. გახარებული დედა გაორკეცებული ენერგიით შრომობდა. მაგრამ სიხარული დიდი მწუხარებით შეეცვალა — სალომემ შვილის დაღუპვის ცნობა მიიღო, ამას მეუღლის გარდაცვალებაც მოჰყვა. ერთბაშად მოზღვავებულმა უბედურებამ რკინასავით მაგარ სალომეს თავზარი დასცა, მაგრამ მაინც ვერ გატეხა.

სალომე ახლა ხანშიშესული ქალია, მაგრამ სასოფლო საქმეებში კვლავ მონაწილეობს. სხვანაირად არც შეიძლება, მან ხომ მთელი ძალა და ცოდნა კოლმეურნეობის განტკიცებას მოახმარა!

**ვ. იაკობიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნიანია, ნიანეჩკა"

1970 წლის 18 ნოემბრის „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე დაიბეჭდა ა. რუბინოვის პოლემიკური შენიშვნები „ნიანია, ნიანეჩკა". სტატიამ რედაქციაში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. მითუმეტეს, რომ ის-ის იყო ვაპირებდით ამ საკითხზე შემოსული წერილების გამო გავსაუბრებოდით „საქართველოს ქალის" მკითხველებს. გადავწყვიტეთ „ლიტერატურნაია გაზეტასთან" ერთად ამაზე ჩვენც ვიმსჯელოთ, რადგან ა. რუბინოვის წერილში აღძრული პრობლემა, თუ შეიძლება მას პრობლემა დავარქვათ, საქართველოში ნაკლებად როდი მომწიფდა.

იმათ, ვისაც ა. რუბინოვის სტატიის წაკითხვა გამორჩა, მოკლედ, ანოტირებული სახით გავაცნობთ მის შინაარსს:

ავტორი მსჯელობს საავადმყოფოებში მომვლელი პერსონალის, რუსული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ნიანიების" (რატომღაც ქართულში მისი შესატყვისი ვერ დამკვიდრდა და, ალბათ, ამაზეც გვმართებს ფიქრი) თავისი საქმისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. რომ მომვლელი ქალების რიცხვმა მკვეთრად იკლო. ამ მოვალეობას მხოლოდ პენსიონერი მოხუცები ასრულებენ, თანაც ორმაგი დატვირთვით. რის გამოც ავადმყოფი ზარალდება და ამაოდ უხმობს საკუთარი საქმეებით გართულ „ნიანია, ნიანეჩკას". სტატიის ავტორი სერიოზულადაა შეშფოთებული იმით, რომ ახალგაზრდები ამ საქმეს თაკილობენ და გვთავაზობს აზრს, მომვლელი ქალების ნაცვლად მოვამზადოთ ექთნების სპეციალური კადრები, რომლებიც საქმის იმ ნაწილს შეასრულებენ, რაც უშუალოდ ავადმყოფს ეხება, პალატებისა და ინვენტარის მოვლა კი ავტომატურ მანქანებს მივანდოთო. ავტორის მიერ წამოყენებული ესა და სხვა წინადადებაც უდავოდ, საინტერესოა, მაგრამ ვერ გვაჯერებს, და საკითხი ჰაერში გამოკიდებულივით რჩება. საჭიროა მეტი ფიქრი, მსჯელობა და გამოსავლის ძებნა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენადაა მომწიფებული ჩვენს რესპუბლიკაში ეს პრობლემა, მოგვყავს რედაქციაში შემოსული ორი წერილი. წერილების ავტორებმა, რატომღაც, არ მოინდომეს თავიანთი ვინაობის გამხელა და ჩვენც შევასრულეთ მათი სურვილი.

## წერილი პირველი

19 წლისა ვარ, მაგრამ უკვე დედა გავხდი. ორი კვირაა, რაც სამშობიაროდან გამოვეწერე. ერთი სული მქონდა, როდის შევძლებდი თქვენთვის წერილის მოწერას. დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემს წერილს დაბეჭდავთ, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა.

როცა მშობიარობის უმძიმესი, ჯოჯოხეთური წუთები დამთავრდა, ვიფიქრე, ალბათ ჩემზე ბედნიერი ამ წუთას არავინ არის მეთქი. გოგონას დედა გავხდი; სულში და სხეულში ისეთი სიმშვიდე და ნეტარება ჩამიდგა, რომ თუ არა სირცხვილის გრძნობა, ხმამაღლა ავმღერდებოდი.

ღამდებოდა, პალატაში რომ შემიყვანეს. ტკივილებისაგან განთავისუფლებულს, ღრმად ჩამეძინა. მალე წყურვილმა გამომაღვიძა. „დეიდა, დამალევინეთ. თქვენი ჭირიმე, წყალი, მწყურია!" ვთხოვე ოთახში რაღაცაზე შემოსულ მომვლელს. ქალი ფლოსტების ფრატუნით გავიდა...

„დამალევინეთ, რა, წყალი, მწყურია!" უკვე მერამდენედ ვთხოვდი და ერთადერთი, რასაც მისგან ვღირსე, იყო ცივი პასუხი: „მერე მე რა ვქნა, რომ გწყურია".

ადამიანის ასეთ უსულგულობას პირველად შევხვდი ჩემი ცხოვრების მოკლე მანძილზე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ კიდევ წავაწყდე სადმე!

რა უნდა ამ ქალს იქ, სადაც სიცოცხლე იღებს სათავეს. ასეთი ადამიანები ფულზე ყიდიან თავიანთ სინდისსა და მოქალაქეობას. ფული — „მანეთიანი" გამხდარა მათი ცხოვრების საზომი!

თ. გ.

## წერილი მეორე

ამ წერილს გწერთ მოხუცი, დაუძლურებული პენსიონერი ქალი. შერყეული ჯანმრთელობის გამო, ხშირად მიხდება საავადმყოფოში წოლა.

ამას წინათ ჩემ ქალიშვილს ვუთხარი, რომ მოვკვდე, საავადმყოფოში აღარ დავწვები, არ შემიძლია სანიტარი ქალების ყურება, სულ ხელში შემოგცქერიან, უფულოდ, სული რომ გძვრებოდეს, არ მოგხედავენმეთქი.

გულახდილად უნდა გითხრათ, ამაში ჩვენცა ვართ დამნაშავე. საჭიროა თუ არა, ყველას ფული გვაქვს გამზადებული.

გენაცვალეთ, ზოგმა არც იცის ფული რაში დახარჯოს, უხარია კიდეც, მიზეზს რომ მოულობს. ერთი ჩვენცა გვკითხოს, ვისაც ამ სანიტრებზე მეტი ხელფასი არა გვაქვს!

ეს გასაჭირი ყველას აწუხებს და მის წინააღმდეგ საერთო ძალით უნდა ვიბრძოლოთ.

ვ. გ.

* * *

ჩვენი კორესპონდენტი ესტუმრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ამხ. ვ. ბოჭორიშვილს, რომელმაც სავსებით გაიზიარა რედაქციის აზრი, გააცნო მას თავისი გეგმები და მოსაზრებები. იმედი გამოთქვა, რომ პრესა, მძლავრი იარაღი ადამიანთა სულიერად და მორალურად აღზრდის საქმეში, დიდ ზეგავლენას იქონიებს იმ პირებზე, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ის უპირატესობა, რომელიც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მიანიჭა საბჭოთა ხალხს. ჩვენი სახელმწიფოს გარდა, მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს უფასო მკურნალობა. იგი ოქტომბრის მონაპოვარია და მისი ხელყოფის უფლება არავის არა აქვს.

მომვლელი ქალების კვალიფიციური კადრებით, ექთნებით შეცვლა დღის წესრიგში დგას, მაგრამ საბოლოოდ ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან მუშაობს სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილება, რომელსაც პროფესორი გაიოზ ვასაძე ხელმძღვანელობს. აქ დიდი მეცნიერული მუშაობა წარმოებს. შორს არ არის ის დრო, როცა შეიქმნება სამედიცინო პერსონალის შემცვლელი ავტომატური მანქანებიც.

* * *

რედაქციის საქაღალდეებში უამრავი მადლობის წერილი ინახება. სხვადასხვა კეთილი საქმეებისათვის უხდიან მადლობას ადამიანები ადამიანებს, ამ სიტყვის პირდაპირი და ვრცელი გაგებით.

წლების მანძილზე ლოგინზე მიჯაჭვულ ტაბახმელელ თ. შიოშვილს მეზობლები, ნაცნობ-მეგობრები პატრონობდნენ: ასმევდნენ, აჭმევდნენ, უვლიდნენ და სამაგიეროდ არაფერს არ თხოულობდნენ.

ბევრ სხვა მშვენიერ თვისებასთან ერთად, ქალს თანდაყოლილი აქვს უმწეო, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის მიშველების ინსტიქტი. შორს წაგვიყვანდა იმის ჩამოთვლა, თუ რამდენმა ქალმა შესწირა სიცოცხლე დაჭრილთა, დავრდომილთა, უკურნებელი სენით შეპყრობილთა მოვლა-პატრონობას.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს გაოცებული დავრჩეთ იმ ქალებით, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

გვინდა მათ შევახსენოთ, რომ კაცი კაცის ხიდია.

საუბარი „ნიანია, ნიანეჩკა" არ დამთავრებულა. იგი მხოლოდ დაიწყო. იმედი გვაქვს, საუბარში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი გონიერი მკითხველი, მოგვაწვდის თავის აზრს, შეხედულებას და წინადადებას.

მომავალ შეხვედრამდე!



# პირველი ქართველი რეჟისორი ქალი

ახალ თაობებს თითქმის სრულიად მიავიწყდათ ქართული თეატრის ჩუმი და უანგარო მოღვაწე ნინო გამრეკელი-თორელი.

დავივიწყეთ იგი თეატრის ისტორიის მკვლევარებმაც, რომლებსაც ყველაზე მეტად გვმართებდა არ დავიწყება მოყვასისა.

...დრო ულმობლად ანადგურებს წარსულს. ხსოვნას შერჩება ხოლმე ის, რაც ძლიერია და მარადიული. ყოველ ახალ თაობას სჯერა, რომ მისი მოსვლით იწყება ახალი საუკუნე და ამ რწმენით შრომობს და იბრძვის იგი. ეს რწმენა უფრო ძლიერია იქ, სადაც არ არის მატერიალურად ხელშესახები დანატოვარი წარსულისა. ასეთია თეატრი. იგი კვდება მსახიობისა თუ რეჟისორის სიკვდილთან ერთად და მხოლოდ მასზე მოგონებანი გადაეცემა თაობიდან თაობას.

ამიტომ მალე ექლევიან დავიწყებას მსახიობები, რეჟისორები. მათი სპექტაკლების მაყურებლებს თან მიაქვთ ცოცხალი სურათი ნანახისა და განცდილისა. ვინ მოსთვლის, რამდენი ნიჭიერი მსახიობი დაივიწყა დრომ, ან რამდენს გაუელვია თუნდაც ერთი გამონათებითა და მერე სამუდამოდ გამქრალა.

ახლა ვინღა იხსენებს ძველი თეატრის იმ მსახიობ ქალებს, პირველად რომ შეარხიეს ქართული სცენის ფარდა?! მუზეუმის თაროებზე სთვლემენ მათი სახელები, ოდესლაც მგზნებარე ტემპერამენტით რომ აცხოველებდნენ მაყურებლის ფანტაზიას.

არამც თუ ძველი, ახალი ქართული თეატრის ბევრი კეთილშობილი მანდილოსანი დაივიწყეს ჩვენმა თეატრმცოდნეებმა.

მაგრამ დროდადრო ხომ უნდა მოვიგონოთ ისინი მაინც, ვინც თავის საქმეში პირველი იყო?!

ნინო გამრეკელი-თორელი ჩვენში პირველი ქალი რეჟისორი იყო. თვით ეს ფაქტი კი უფრო მეტია, ვიდრე ბევრი კარგი სპექტაკლის ავტორობა თანამედროვე თეატრში.

ქალთა შორის მან პირველმა სცადა „მამაკაცურ ხელოვნებაში" შეღწევა და დამკვიდრება. ეს მაშინ ნამდვილ გმირობას უდრიდა.

იგი აქტიური მონაწილე იყო იმ ბრძოლისა, რომელიც პროფესიონალმა რეჟისორებმა გადაიტანეს ჩვენში. ბრძოლა იყო მძაფრი და დაუნდობელი. „მსახიობები რეჟისორს ისე უცქეროდნენ, როგორც მათი არტისტული თავისუფლების მოძალადეს, როგორც დესპოტს, რომელიც თითქოს ართმევდა მათ მხატვრული შემოქმედების დამოუკიდებლობას" (კ. მარჯანიშვილი).

რასაკვირველია, ქალისათვის ძნელი იყო ერთბაშად შებრძოლებოდა საუკუნეობით განმტკიცებულ წესს. მაგრამ წინააღმდეგობას და ქალისათვის უჩვეულო პროფესიას არ შეუნელებია ენთუზიაზმი. ნ. გამრეკელი, როგორც მსახიობი და რეჟისორი, მუდამ მოუსვენრად ტრიალებდა ქართულ თეატრში, მოღვაწეობდა ხან თბილისში, ხან ბაქოსა, ქუთაისსა თუ ჭიათურაში. ყველგან მიჰქონდა ფაქიზი ლირიკული სული, რომელიც ასე ბუნებრივად ერწყმოდა ნებისყოფის სიმტკიცესა და შეუვალობას.

მუდამ ახლის მაძიებელი, ერთხანს მოსკოვშიაც მუშაობდა. იყო ბათუმის თეატრის ამაგდარიც. თავისი სიცოცხლის ხანმოკლე დრო გაატარა მთელი სისავსით.

ნ. გამრეკელს პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდა თეატრში მოღვაწეობა, განსაკუთრებით ბაქოს ქართულ დრამაში.

„ნინო გამრეკელ-თორელმა დიდი სამსახური გაუწია ბაქოს ქართული სცენის აყვავებას. იგი როგორც მსახიობი სისტემატურად მუშაობდა და მთავარ როლებს თამაშობდა, შემდეგ კი რეჟისორობდა" (ნ. გვარაძე).

1908 წელს ბაქოში გაიმართა ნ. გამრეკელი-თორელის ბენეფისი. დაიდგა ზუდერმანის „სამშობლო". მაგდას როლი შეასრულა იუბილარმა. პრესის ცნობით „მან თავისი მართალი და ნიჭიერი თამაშით მაყურებელს განაცდევინა დიდი მხატვრული სიამოვნება". ერთგვარი საყვედურის კილოც კი გაისმა ქართველი საზოგადოების მისამართით. იგივე ცნობაში ვკითხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობთ: „ახალგაზრდა მსახიობმა ითამაშა მთავარი როლი მშობლიურ სცენაზე — ქართველმა საზოგადოებრიობამ უნდა იფიქროს ახალგაზრდის მომავალზე, მის აღზრდაზე“.

ისტორიამ შემოგვინახა ნ. გამრეკელის საქველმოქმედო მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტებიც. თეატრალურ მუზეუმში ინახება მოზრდილი, ქართულ ენაზე დაბეჭდილი პროგრამა, რომელიც ასე იწყება: „კვირა, 27 სექტემბერი, 1909 წელი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალურ-განყოფილების გამგეობის მიერ გაიმართება ქართული წარმოდგენა ახლად დაარსებულ სკოლის სასარგებლოდ, განყოფილების დრამატული დასის მიერ სეზონის დასაწყისად წარმოდგენილი იქნება აკაკი წერეთლის „პატარა კახი“.

პატარა კახის როლს ასრულებდა ნ. გამრეკელი-თორელი. სპექტაკლის დადგმაც მასვე ეკუთვნოდა.

1910 წელს ნ. გამრეკელმა დასტოვა ბაქო. მოეწყო მისი გამოსათხოვარი საღამო. თეატრის სახელით მიართვეს დაბეჭდილი ადრესი. მიმართვაში ეწერა: „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თუ კი მომავალშიც შრომას არ დაიზარებ, შენი სახელი ღირსი იქნება იხსენებოდეს ქართული მელპომენის იმ წმინდა ტაძარში, რომელშიც დღეს ასე თამამად გაისმის ჩვენი ეროვნული სცენის დაუღალავ და ერთგულ მუშაკთა ხმა. მოულოდნელად შენი წასვლით ობლად რჩება შენგან ნაამაგარ-ნაჭირნახულევი ჩვენი ქართული სცენა და მასთან ობლად ვრჩებით ჩვენც, შენი ამხანაგები“.

ასე თბილად, გულისტკივილით გამოაცილეს პირველი ქართველი ქალი რეჟისორი ნინო გამრეკელი ბაქოდან.

1911-1912 წლის სეზონში თორელი ქუთაისშია. იგი მოღვაწეობს ცნობილი რეჟისორის მ. ქორელის გვერდით.

1920-1924 წლებში ნინო გამრეკელი რუსთაველის თეატრშია და მონაწილეობს ახალი ქართული თეატრის დაბადების რთულ პროცესში.

1921 წელს დგამს ნ. ნაკაშიძის პიესას „კოტეს დანაშაული“. სხვადასხვა დროს დგამს „მარიამ მაგდალინელს“, „პარიზელ ბიჭს“, „პატარა კახს“, „სტუმარ-მასპინძლობას“, „რღვევას“, „მედეას“ და სხვა პიესებს, რომლებშიაც მჟღავნდება რეჟისორის გემოვნება და პროფესიული კულტურა. იგი, ისე როგორც იმჟამინდელი რეჟისორები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ანსამბლის საკითხზე. ეს მაშინ თეატრის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური პრინციპი იყო.

ნ. გამრეკელი-თორელი, როგორც მსახიობი გამოდიოდა სპექტაკლებში: „თამარ ცბიერი“ (ცირა), „ხანუმა“ (სონა), „ღალატი“ (რუქაია), „ძია ვანო“ (სონია). „იმედის დაღუპვა“ (მაგდა), „სამშობლო“ (ქეთევანი) და სხვა.

ადრე შეწყდა ნიჭიერი რეჟისორისა და მსახიობის სიცოცხლე.

მან ქართველი ქალისათვის უკვალავი გზით იარა და თავისებური კოლორიტი შემატა იმჟამინდელ რეჟისურას.

მისი ფიქრი მუდამ თავს დასტრიალებდა ქართულ თეატრს, ეფერებოდა და ესიყვარულებოდა ახალ სპექტაკლებს, ახალ სახეებს; წავიდა იგი და მასთან ერთად წავიდნენ მისი წარმოდგენები, მისი როლები...

მაგრამ დარჩა პირველი ქართველი რეჟისორი ქალის მოკრძალებული სახელი.

ვასილ კიკნაძე



# ვალენტინა სვანელი

მძიმე ავადმყოფობამ სიცოცხლეს გამოასალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვალენტინა იოსების ასული სვანელი, იგი რამდენიმე ათეული წელი დიდი სიყვარულით ემსახურებოდა თეატრს.

ვ. სვანელი (ლაკვეხელიანი) დაიბადა 1905 წელს ქუთაისში; იგი პირველი სვანი ქალი იყო, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს ქუთაისში სწავლის პერიოდში ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას და თავის პროფესიად მსახიობობა აირჩია.

1924-35 წლებში ვ. სვანელი მუშაობდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრში, ხოლო 1935 წლიდან თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაუკავშირა ჭიათურის თეატრს, სადაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დარჩა.

ვ. სვანელს სპეციალური თეატრალური განათლება არა ჰქონდა მიღებული; მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ მ. ქორელი და კ. ანდრონიკაშვილი, ხოლო მოგვიანებით — პ. ფრანგიშვილი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჭიათურის თეატრს.

ვ. სვანელი რეალისტური სკოლის მსახიობი იყო. მის მიერ განხორციელებული 200-მდე სცენური სახე გამოირჩეოდა შესრულების თავისებურებებით, ქართული ხალხური სალებავებითა და შინაგანი სიმართლით. ვ. სვანელის მიერ შესრულებულ როლებში ყოველთვის იგრძნობოდა დიდი უშუალობა და განზოგადოების ძალა.

ვ. სვანელის შემოქმედებით ბიოგრაფიას ამშვენებს ისეთი სახეები, როგორიცაა: გვირისტინე („კოლმეურნის ქორწინება)“, ხანუმა („ხანუმა“), ქრისტინე („ქრისტინე“), მელანო („სამანიშვილის დედინაცვალი“), პასკუალა („ცხვრის წყარო“) და კიდევ ბევრი სხვა.

ვ. სვანელის აქტიორული გულწრფელობა, უშუალობა და მაღალი პროფესიონალიზმი ბევრჯერ შეფასებულა ჩვენი პრესის ფურცლებზე.

ვ. სვანელს ჯერ კიდევ ბევრი როლის შესრულება სწადდა სცენაზე, ბევრი სცენური გმირის ცხოვრება დარჩა ოცნებად.

დიდი დანაკლისი განიცადა ვ. სვანელის დაკარგვით ჭიათურის თეატრის კოლექტივმა, რომელიც თავისი შემდგომი საქმიანობით სამუდამო ძეგლს დაუდგამს მის ნათელ ხსოვნას.

მ. გოგოლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინი მანდელა — თავისუფლებისათვის მებრძოლი აფრიკელი ქალი

აფრიკა. შავი კონტინენტი. მსოფლიო რუკაზე დიდი შავი ლაქა. კონტინენტის ამ ფონზე კიდევ უფრო მუქად გამოიყურება სამხრეთ აფრიკის კავშირი — ულტრარეაქციული რასისტული სახელმწიფო. აქ სქესობრივი და რასობრივი სეგრეგაცია კვლავ იმ პირველყოფილ, ვანდალურ ფორმებშია გამოხატული, რაც კაცობრიობას ჟამთამსვლელობაში სირცხვილით მოაგონდება. ფერით განსხვავებულ ადამიანებს შორის ნამდვილი ჩინური კედელია აღმართული. სამხრეთ აფრიკის კავშირი დღემდე გადაუწყვეტელი რასობრივი პრობლემების ეპიცენტრს წარმოადგენს ჩვენს პლანეტაზე.

შავ აფრიკას თავისუფლების მძლავრმა ტალღამ შემოჰკრა. იმსხვრევა კოლონიალიზმის ჯაჭვი. მაგრამ პრემიერ-მინისტრ ფორსტერის მთავრობა ყველაზე რეაქციულ მეთოდებს მიმართავს არსებული რეჟიმის შესანარჩუნებლად.

ქვეყნის პროგრესული ძალების ბრძოლა თავისუფალი აფრიკისათვის თანდათან ფართოვდება და მონოლითური ხდება. აფრიკელი ქალები ამ მოძრაობის ავანგარდს წარმოადგენენ.

ვინი მანდელა, ახალგაზრდა, 35 წლის შავკანიანი ქალი, ერთ-ერთი იმათგანია.

ვინის ცხოვრება სამართლიანობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ადამიანის ცხოვრებაა, რისთვისაც მას რასისტებმა ბინად საპყრობილე მიუჩინეს.

მანდელას ოჯახი რევოლუციური ოჯახია. მის მეუღლეს, ნელსონ მანდელას, აწ აკრძალული აფრიკის ეროვნული კონგრესის (ანს) ლიდერს, კარგა ხანია მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა. ეროვნულმა კონგრესმა, ქვეყნის რეაქციული ძალების ოპოზიციის ძირითადმა ძალამ, მანდელას ხელმძღვანელობით არა ერთი პროგრესული ნაბიჯი გადადგა ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში.

ცოტა ჯაფა როდი დაადგა ფერადკანიან ქალს, საპატიმროში მეუღლის ნახვის ნება რომ დაერთოთ. ბოლოს, როცა მიზანს მიაღწია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირობა ჩამოართვეს კეიპტაუნში ყოველი შესვლა და გასვლა ადგილობრივი ჩინოვნიკებისათვის ეცნობებინა. მთავრობისათვის არასასურველი საქმიანობისათვის დაპატიმრებულია ვინის უმცროსი, 19 წლის დაც. ვინის უპატრონოდ დარჩა ორი პატარა გოგონა — ზენანი და ზინიზინა.

ვინი გრძნობდა, მის თავზე დამოკლეს მახვილი რომ იყო აღმართული, და აი, 1969 წლის მაისში იოჰანესბურგელ საზოგადო მოღვაწეს ვინი მანდელას პოლიციამ დაპატიმრების ორდერი წარუდგინა...

საპყრობილეში რამდენიმე თვე გაუსამართლებლად გამომწყვდეული ვინი ამაოდ ელოდა სასამართლო პროცესს. დაბოლოს, ექვსი თვის პატიმრობის შემდეგ, პრეტორიაში დაიწყო ოცდაორი აფრიკელის, მათ შორის ოთხი ქალის სასამართლო პროცესი. ქვეყნის ოცდაორსავე მკვიდრს, გენერალური პროკურორის განცხადების თანახმად, ბრალად ედებოდა სამხრეთ აფრიკის კავშირში კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობა, ოკეანის გაღმიდან შემოტანილი კომუნისტური იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის პროპაგანდა, 1960 წლიდან აკრძალული პროგრესული ორგანიზაციის — ანს-ის ფინანსური დახმარება. რკინიგზის მუშაკთა მიერ ამას წინათ მოწყობილი საბოტაჟისადმი ხელისშეწყობა, აფრიკელ პარტიზანებთან— სახალხო-განმათავისუფლებლებთან კონტაქტი და ა. შ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ი. ლაინბერგმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მასობრივი რეპრესიების დაწყება დაკავშირებულია არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ანს-ის ძალების 1967 წლიდან განსაკუთრებულ გააქტიურებასთან. ამ ორგანიზაციის ყოფილმა წევრებმა ფართო არალეგალური ქსელი გააბეს იოჰანესბურგში, კეიპტაუნში, ნატალსა და სხვა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ამზადებდნენ გეგმას ახლანდელი მთავრობის ჩამოსაგდებად.

სანამ პატიმრები საბრალდებულო სკამებზე დასხდებოდნენ, ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა პოლიციის გაძლიერებულმა ძალებმა დაიკავეს მთავარი მისადგომები სასამართლოს შესასვლელთან, უფლებააყრილები მშვიდად შესცქეროდნენ ტყვიამფრქვევების ლულებს და მღეროდნენ პათეტიკურ სიმღერებს ანს-ის ჰიმნიდან — „ნკოსი სიკელელი აფრიკა" („ღმერთო, შენ ადღეგრძელე აფრიკა").

როდესაც სასამართლო პროცესზე გარდა ზემოხსენებული ბრალდებებისა, ვინი მანდელას დაუსაბუთეს სამხრეთ აფრიკის კავშირის საინფორმაციო სამსახურის დაწესებულებაში ორი ათასი ანტისახელმწიფოებრივი მოწოდების დაბეჭდვა, მას თავის გამართლება არც უცდია. თავისი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის მებრძოლი ქალისათვის დაპატიმრებები და რასისტული სასამართლოები უცხო ხილი როდია.

ვინისთვის ნათელია, რომ სანამ სამხრეთ აფრიკა თავისუფლებას და დემოკრატიას არ მიაღწევს, იგი ვერასდროს ვერ ნახავს თავისუფალ მეუღლეს, ვერასდროს ვერ ეღირსება ოჯახურ იდილიას, ყოველთვის შეზღუდული იქნება საკუთარი შვილების ალერსშიაც. გაბედულ დემოკრატს ახლანდელი რეჟიმი ისეთ „პერსპექტივას" უქმნის, რომ თავისივე ქვეყნის მიწაზე ან ყოველთვის დაპატიმრებას მოელოდეს, ანდა ციხეში გამომწყვდეულს, თავისუფლად სუნთქვა ენატრებოდეს.

დღეს ვინი, როგორც თავისი ქვეყნის ღირსეული შვილი, მთელი თავისი შეგნებით მიეკუთვნება იმ გაბედულ ქალთა რიცხვს, რომლებიც არასოდეს არ ივლიან რასისტული მთავრობის მოლიპული ბილიკებით, არ ივლიან თუნდაც იმ შავბნელი დღეების მოლოდინში, რომ დაჰკარგავენ ქვეყნად ქალისათვის უძვირფასეს უფლებებს — იყვნენ ცოლები და დედები.

ამჟამად არავინ იცის, რამდენი პატრიოტია სამხრეთ აფრიკის დილეგებში დღის სინათლეს მოკლებული. სანამ ქვეყნად რასისტული რეჟიმი მძვინვარებს, მსოფლიოს დემოკრატიული ძალების ვალია დაირაზმონ პატრიოტების მხარდასაჭერად. ვინიმაც გადაწყვიტა ქედი არ მოიხაროს პრემიერ ფორსტერის ფაშისტური რეჟიმის წინაშე.

მსოფლიოს პროგრესულ ადამიანთა მიერ შექმნილმა აზრმა იხსნა ნელსონ მანდელას სიცოცხლე, როდესაც იგი ბეწვზე ეკიდა.

ასეთივე აზრი უნდა შეიქმნას ყველა იმ დემოკრატთა მხარდასაჭერად, რომელთა ხვედრია შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვილი პოლიციელების მიერ წამება. ვინი მანდელა ერთ-ერთი ბევრთაგანია!

სამხრეთ აფრიკაში ქვეყნის პროგრესული ძალებისადმი ჩვეულებად გადაქცეული უსამართლო დამოკიდებულების ფაქტები ცნობილი უნდა გახდეს პროგრესული კაცობრიობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისუფლებისათვის მებრძოლნი უკუნეთ ღამედ გადაქცეულ საკანში დალევენ მწარე დღეებს.

არნოლდ გეგეჭკორი,

გაზეთ „მორნინგ სტარის" მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როზა ლუქსემბურგი

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

გერმანიისა და პოლონეთის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი II ინტერნაციონალში, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი როზა ლუქსემბურგი დაიბადა 1871 წელს ქალაქ ზამოცში (პოლონეთი), ბურჟუაზიულ ებრაულ ოჯახში. ვარშავის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა. დაპატიმრების საფრთხის გამო იგი წავიდა შვეიცარიაში და ციურიხში დაამთავრა უნივერსიტეტი. აქვე 1897 წელს დაწერა სადოქტორო დისერტაცია — „პოლონეთის სამრეწველო განვითარება“, რომელიც გამოაქვეყნა 1898 წელს. როზა ლუქსემბურგი იყო პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1897 წელს როზა ლუქსემბურგი გადასახლდა გერმანიაში. 1898 წელს თავისი ნაშრომით — „სოციალისტური რეფორმა თუ რევოლუცია“? იგი გამოვიდა ბერშტეინის რევიზიონიზმის კრიტიკით.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა როზა ლუქსემბურგზე. იგი იცავდა პროლეტარიატის ბრძოლის ახალ ფორმას — მასობრივ გაფიცვას, ეს იყო მისი რევოლუციური დამსახურება, მაგრამ რ. ლუქსემბურგმა ვერ შესძლო ბოლომდე შეეფასებინა 1905-07 წლების რევოლუციის ხასიათი, მისი მამოძრავებელი ძალა. მან და პარვუსმა შეთხზეს ნახევრად მენშევიკური, პერმანენტული რევოლუციის სქემა, რომელიც უარყოფდა მუშათა და გლეხთა კავშირს. შემდგომში ეს ნახევრად მენშევიკური სქემა გამოიყენა ტროცკიმ ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად, 1905 წლის დეკემბერში ლუქსემბურგი არალეგალურად ჩავიდა ვარშავაში, ხოლო 1906 წლის 4 მარტს იგი დააპატიმრეს. ციხეში ავად გახდა და 1906 წლის ივნისში გაანთავისუფლეს. ერთი თვის შემდეგ დატოვა ვარშავა. როზა ლუქსემბურგი ესწრებოდა რსდმპ მე-5 ყრილობას ლონდონში, სადაც იგი მიემხრო ბოლშევიკებს ლიბერალური ბურჟუაზიის, როგორც ანტირევოლუციური ძალის, შეფასების საკითხში.

1907 წელს შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე ლენინმა და ლუქსემბურგმა შეიტანეს შესწორება ბებელის რეზოლუციაში მილიტარიზმის და ომის შესახებ.

პირველი მსოფლიო ომის წინ, როდესაც გერმანიაში დაიწყო ბრძოლა საარჩევნო რეფორმისათვის, ლუქსემბურგი იცავდა რევოლუციურ ტაქტიკას, ამტკიცებდა, რომ გერმანიაში, ისევე როგორც რუსეთში, გამოყენებულ უნდა იქნას ახალი, არაპარლამენტური ბრძოლის ფორმები — დემონსტრაციები, მასობრივი გაფიცვები.

რევოლუციურ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად როზა ლუქსემბურგი ბევრ დროს უთმობდა თეორიულ პრობლემებსაც.

1914-1918 წლებში რ. ლუქსემბურგმა ხმა აღიმაღლა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე და ცენტრისტი ლიდერების გამცემლობის წინააღმდეგ. მან დიდი ენერგია მოახმარა იმას, რომ გაეერთიანებინა გერმანელი მემარცხენეები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ფ. მიგნერთან ერთად 1915 წელს როზა ლუქსემბურგმა დაიწყო რევოლუციური ჟურნალის „ინტერნაციონალის“ გამოცემა.

1915 წლის 18 მარტს იგი კვლავ დააპატიმრეს. ციხეში დაწერა ბროშურა — „სოციალ-დემოკრატიის კრიზისი“, რომელიც გამოვიდა 1916 წელს „იუნიუსის“ ფსევდონიმით.

1916 წლის იანვრის ბოლოს რ. ლუქსემბურგი გაათავისუფლეს ციხიდან 1916 წლის პირველ იანვარს მემარცხენეებმა (რ. ლუქსემბურგი, კ. ლიბკნეხტი, კ. ცეტკინი და სხვა) ჩამოაყალიბეს „სპარტაკის ჯგუფი“. კ. ლიბკნეხტთან ერთად ლუქსემბურგმა გაშალა ენერგიული რევოლუციური საქმიანობა დემონსტრაციების მოსაწყობად, რომლებიც გაიმართა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის ბერლინშიც.

1916 წლის 10 ივნისს რ. ლუქსემბურგი ისევ დააპატიმრეს (დაპატიმრებული იყო 1918 წლის ნოემბრის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე). ციხეში განაგრძობდა ანტისამხედრო წერილების — „სპარტაკის წერილების“ წერას. ერთ-ერთ წერილში, რომლის გამოქვეყნებაზეც თვითონვე სთქვა უარი, ლუქსემბურგი აკრიტიკებდა მენშევიკებს ბოლშევიკური პოზიციებიდან.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენისა და ბოლშევიკების გამოცდილების საფუძველზე, მან გამოასწორა თავისი შეცდომების უმრავლესობა. ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის ხელმძღვანელობით გერმანელი მემარცხენეები შეუდგნენ დამოუკიდებელი პარტიის ჩამოყალიბებას. რ. ლუქსემბურგმა შეადგინა პროგრამა გერმანიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობისათვის.

გერმანიის კომუნისტური პარტიის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო გერმანიის პროლეტარიატისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისთვისაც.

ლუქსემბურგისა და ლიბკნეხტის რევოლუციურმა ბრძოლამ გერმანიის ბურჟუაზიისა და მისი სოციალ-დემოკრატი ლაქიების წინააღმდეგ, გამოიწვია კონტრრევოლუციის მთელი ბანაკის უსაზღვრო სიძულვილი გერმანიის პროლეტარიატის ბელადების მიმართ. იანვრის ბრძოლებში ბერლინის მუშების დამარცხების შემდეგ, მემარჯვენეებმა, სამხედრო ხროვაზე დაყრდნობით, 1919 წლის 15 იანვარს მოაკვლევინეს რ. ლუქსემბურგი და კ. ლიბკნეხტი.

თავისი შეცდომების მიუხედავად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ლუქსემბურგი იყო და რჩება არწივად. ლუქსემბურგის სიკვდილით საერთაშორისო პროლეტარიატმა დაჰკარგა მუშათა კლასის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ეროვნულ ბიბლიოთ

# როგორ დავმეგობრდი მანქანას

**იუმორესკა**

მანქანა მთარგმნელი, მანქანა გამომთვლელი, მანქანა გამომცდელი, მანქანა დიაგნოსტი, მანქანა... იმასაც კი ამბობენ, საოპერაციო მაგიდასთან დადგება და ნახეთ, რა საქმეებს დაატრიალებსო.

აგერ, მამაჩემის ლაბორატორიაშიც დგას მანქანა, ყველა მას უტრიალებს, აქებს, ადიდებს და ბოლოს ისე გააყოყოჩეს, რომ დაავიწყდა ვისი პირმშოა, ვისი შთაგონების ნაყოფი და ასე გასინჯეთ, მეც კი არ დამინდო და ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაში ჩამჭრა.

ჩაჭრაც არ მაკმარა — აშკარად დამცინის. მაინც, თუ ოდნავ ნასვამს მომკრა თვალი, ლამის ხმამაღლა ხარხარი მორთოს, თითქოს ამბობს: „ვინ ხარ, რა ხარ, რაღაც ორი ჭიქა დაგილევია და დიდ ვაჟკაცად მოგაქვს თავიო“.

დამცინი, არა? — ვნახოთ!

და, ალბათ, ჩემი ნერვული სისტემისა და გონებრივი ძალების დაძაბვის ზენიტში იშვა იდეა, — გადავწყვიტე ახალი პროფილი მივცე კიბერნეტიკულ მეცნიერებას.

— ძვირფასო მეგობარო, — მივმართე ერთხელ ჩემ მტერ-მოყვარეს, — მართალია, ჩამჭერი და სწავლას ერთი წლით ჩამომარჩინე, მაგრამ სულაც არ გემდური, — პირიქით! ჯერ ერთი, გაისად უფრო მომზადებული მივალ გამოცდებზე და, მეორეც, გადავწყვიტე, აქედანვე შევეჭიდო მეცნიერებას და დისერტაციისათვის თემაც შევარჩიე — „კიბერნეტიკა და ქართული სუფრა“. გინახავს ჩვენი სუფრა? ან საიდან ნახავდი. ალბათ არც ის იცი, რომ ჩვენს ქართულ სუფრას მსოფლიოში მესამე ადგილი უჭირავს, არც ის, რომ მას „აკადემიას“ ეძახიან.

— ეგ კი გამიგონია!

— ჩვენი სუფრული მოლხენა?

— ამბობენ, კარგი მოლხენა გცოდნიათ.

— არ გაინტერესებს, თვითონ, საკუთარი თვალით და ყურით დარწმუნდე?

— რატომაც არა.

— რადგან აგრეა, დავმეგობრდეთ და ასე ვთქვათ, ჩემი მომავალი დისერტაციის ანბანის პრაქტიკულ გარკვევას შევუდგეთ.

— რა მევალება?

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ჩვენს ერთ-ერთ ჩვეულებრივ სუფრას ეწვიო.

— ქორწილში?

— არა. არც ქორწილია, არც ძეობა, არც რაიმე დღესასწაული — უბრალო თავშეყრაა.

— რა მიზნით?

— „მიზანი“, „მიზეზი“, „მიზეზთა მიზეზი“, „პროფილი“, „იდეა“, „საკითხთა კომპლექსი“,... კარგი, რა! რა მიზანი უნდა იყოს? მეგობართა უბრალო ერთსაათიანი შეკრებაა.

— რესტორანში?

— ბინაზე.

— რა უნდა ვაკეთოთ?

— მიირთვა ხაში და 100 გრამი არაყი.

— ხაში რას ჰქვია?

— გაიგებ.

— არაყი?

— სპირტი ხომ იცი — მისი ნაირსახეობაა.

— როდის მივდივართ?

— კვირა დილით.

მანქანა დაფიქრდა.

— კვირას შეიძლება, — ისიც ერთი საათით. ხომ იცი, ორშაბათიდან...

— ვიცი, სამუშაო გაქვს, გამოცდები.

...და კვირა დილით მე და ჩემი ახალი მეგობარი რეზოსთან ვიყავით. წინადღის ნაბახუსევი ბიჭები უკვე შეკრებილიყვნენ.

შეკრება ტრადიციული ხაშით და 100 გრამი არყით დაიწყო. შემდეგ არაყი გასამკეცდა, სუფრა კი...

მანქანა მაინც მანქანაა და ყველაფერს პრაქტიკული თვალით უყურებს — ყველა მათგანში გამომთვლელი ზის. ხაშს მოჰყვა ფხალეული და თევზეული, მრგვალად მოხარშული ქათამი, ხიზილალა და ხაჭაპური, ინდაური და გოჭი, მწვადი და ბეჭი... ღვინოც, რომ იტყვიან, მდინარესავით დაიძრა...

ჩვეულებრივად, ჩაის ჭიქით დავიწყეთ, შემდეგ კულა და ყანწი, განსაკუთრებული და განსაკუთრებულზე განსაკუთრებული სადღეგრძელო და სასმისი...

ერთი სიტყვით, ყველასათვის ნაცნობი სურათია და აღწერას აღარ საჭიროებს. მხოლოდ ჩვენი მანქანისათვის იყო ეს ყველაფერი უცხო და უცნაური. იჯდა და აშკარად ეტყობოდა, როგორ ითვლიდა და ითვლიდა, სანამ შეეძლო, თანაც დეიდა ნიფადორას კულინარული და თამადის გამომგონებლური ნიჭით გაოცებული, ნაირ-ნაირ ფორმის სასმისებს სცლიდა და სცლიდა.

— აკადემია? აკადემია სადაა? — ჩურჩულით შემეკითხა. მაგრამ დათუნამ მაინც მოჰკრა ყური და.

— რაო?

— ქართული სუფრა — აკადემიააო, გამიგია.

— ჰოოო... აკადემია ძერჟინსკის ქუჩაზეა, მეგობარო.

— ცეკვა-სიმღერა?

— ოლიმპიადებზე.

— ოლიმპიადებზე? კი, მაგრამ სად?

— აჰა, ეს დაცალე და გაიგებ, — და რეზომ მანქანას მოზრდილი თასი გადაულოცა.

სტუმარმა ინტიმარი არ გაიტეხა და დასცალა. დასცალა და ჯერ ღიმილმა გაუხსნა წარბი, შემდეგ სიცილი წასკდა, შემდეგ ისე ახარხარდა, ოთახს გუგუნი გაჰქონდა.

ჩვენს თვალწინ შეიცვალა ეს წარბშეკრული და გულჩათხრობილი მსაჯი ადამიანთა ცოდნა-არცოდნისა. ჯერ დიასახლისისაკენ დაიწყო თვალის გაპარება, შემდეგ წაეპოტინა კიდეც... მერე უმიზეზოდ ამიზეზდა და აშკარად ჩხუბის ხასიათზე დადგა.

ჩხუბი აგრე არ უნდაო და ერთი რვა დამრტყმელი ბიჭი, ჩვენი ძმაბიჭების შნო, ლაზათი და მარიფათი წამოიმართა და ჩვენი საპატიო სტუმრის მშობელი მრავალსართუ-

გარეკანის პირველ გვერდზე — „დედოგა“. მხატვარი ნ ე ლ ი ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი.,
მეოთხე გვერდზე — იყალთო. ფოტო დ. ი ა კ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 15/I-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/II-71 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123.260. შეკვ. № 206. უე 01930. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანი „ქებით“ მოიხსენია.

— ალბათ ესაა თქვენი აკადემიური სიტყვა-პასუხი, არა?—წამჩურჩულა გაბადრულმა სტუმარმა.

— ჯერ სადა ხარ!

და მართლაც კიდევ ბევრ შესანიშნავს მოისმენდა და ნახავდა, მაგრამ... თამადამ სთხოვა ბიჭებს, მთლიანად არ დაეხარჯაო ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს უნიკალური მარგალიტები.

— დიდებულია, დიდებული! — მეჩურჩულებოდა სტუმარი, — ამას წინათ პროფესორი ამბობდა: ჩვენთან, საქართველოში ქალი ოდითგანვე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობსო, ყველაფერს ძვირფასს — რაც კი გაგვაჩნია, დედის სახელი აქვს წამძღვარებულიო.

— აგრეა! — დავუდასტურე მე.

— ახლა, ერთი კარგი სიმღერაც რომ მომასმენია, — ინატრა მან.

— ბიჭო, ფილარმონიაში წაგეყვანა, ეგ ვარიანტი გვინდა, ახლა, ჩვენ? — ერთხმად შემღაღადეს ერთმანეთის ქება-დიდებასა და სიყვარულის მტკიცებაში შეხურებულმა ბიჭებმა.

— მაცალეთ-მეთქი — გადავულაპარაკე და დეიდა ნიფადორას ვთხოვე ცომის საზელი თასი გამოეტანა.

— რად გინდა, შვილო?

— განსაკუთრებული სასმისისათვის.

და თამადის ნებართვით, ჩვენი დედასამშობლოს სადღეგრძელო შევსვი და ჯერ ბიჭებს გადავულოცე, რომ სტუმრისათვის ჩვენი ვაჟკაცობა თვალხილულად მეჩვენებია, შემდეგ კი მას მივართვი.

— ბოდიში, მაგრამ... — აწრიალდა სტუმარი.

— არა, ეს სასმისი უნდა დაგვიცალო.

— არ შემიძლია.

— რას ჰქვია, არ შეგიძლია!

— თუ არ შეუძლია? — გაუბედავად ჩაილაპარაკა ოთარმა.

— იქნებ, არც მე შემიძლია!

— ღვიძლი ისეთი დღეში მაქვს, რომ ექიმებმა...

— ექიმებს თუ უსმინე... გაქანებული სტენოკარდია მაქვს, ჩემო ძმაო!

— არც მე მივარგა თირკმლები, მაგრამ ღვინის მოპარვას მაინც არ ვიკადრებ!

— მერედა ვინ მოიპარა? — აიმღვრა სტენოკარდიანი.

— შენ!

ეს სიტყვა მეხივით გავარდა. მეხს დანების ერვა მოჰყვა და რომ ნიფადორა არა, სისხლის წვიმა წამოვიდოდა.

..სტუმარს თასი ხელში შეშეშებოდა.

— „დალიე და დადგი თასი, სულ დალიე, დალიე...“ — ვითომდა აქ არაფერი მომხდარაო, მიუმღერა თამადამ სტუმარს.

— ხომ ვთქვი, არ შემიძლია-მეთქი.

— არ შეგიძლია, ა? რა ვიცი, მომავალი მანქანებისააო, და... ირონიით წამოიძახა რეზომ.

— სწორედ იმიტომ არ შემიძლია — და მანქანა ზეზე წამოდგა. — უჰ, დილით ერთი საათით მოსულებს კიდეც შემოგვღამებია!

— ა, პა, პა, პა, ეგ ფანდი არ გაგივა!

— სიცოცხლე არ მომძულებია!

— უნდა დაცალო!

— არც ისე მრავალრიცხოვანი ვართ მანქანები, რომ...

— ჩვენ თუ ვსვამთ?

— ერთი სიტყვით, თავი გონიერ არსებად მიმაჩნია და, სანამ პირუტყვს არ დავემსგავსებივარ, სანამ არავინ მომიკლავს, ან არავის შემოვკვდომივარ...

— ეს ერთი სასმისი!..

— ხომ გითხარით, ისედაც ცოტანი ვართმეთქი... სიცოცხლეც მინდა და აზრიც მჭირდება, რომ არც გადავშენდეთ, ვერც მტერი მოგვერიოს... და...

და ჩემი უცხო სტუმარი კარისაკენ წარახრახდა.

გამომელვიძა...

**მ. ბარათაშვილი**

# ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო ნარკვევზე

ნარკვევის გმირი უნდა იყოს ქალი, რომლის სახელითაც ამაყობს მისი სოფელი, ქალაქი თუ რაიონი, — ქალი განსაკუთრებული, საინტერესო ბიოგრაფიით (საბრძოლო დამსახურება იქნება ეს, საზოგადო მოღვაწეობა თუ შრომითი საქმიანობა, მრავალშვილიანი დედა თუ კარგი შვილების აღმზრდელი). ნარკვევების წარმოდგენის ვადაა არაუგვიანეს 1971 წ. 1-ლი ივლისისა.

საუკეთესო ნარკვევისათვის დაწესებულია:

ერთი I პრემია — 100 მან. რაოდენობით,

ორი II პრემია — თითოეული 50 მან. რაოდენობით.

ИНДЕКС 76178

